რევოლუციური

4

1930

რევოლუციური

ახალგაზრდობის ანტიფაშისტური ორგანიზაცია

ახალგაზრდობა საერთაშორისო მიმოხილვა

თეთრი ტერორი ბავშვთა წინააღმდეგ

მოწაფეები ეხმარებიან გაფიცულებს.

ნიუ-იორკში (ამერიკა) ნემსის ქარხანაში მომუშავეთა გაფიცვების დროს პოლიციამ დააპატიმრა პიკეტები, რომელთა შორის აღმოჩნდა 6 მოწაფე.

——

ბავშვები მონაწილეობას ღებულობდენ გაფიცვებში.

გასტონში ფეიქართა გაფიცვაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ბავშვები. ისინი აქტიურობას იჩენდენ მოწოდებების გავრცელებაში და თავიანთ წრიდან გამოჰყვეს პიკეტები. პოლიციის მიერ შეპყრობილთა შორის აღმოჩნდა ორი 14 წ. ყმაწვილი ევერტ ხაზელდინი და უოლტერ ლოიდი.

პოლიციელთა ყოველწლიურად დათვალიერების წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციის მონაწილეთა შორის ნიუ-იორკში დააპატიმრეს 9 პიონერი.

——

საპირველმაისო დემონსტრაციის განდევნის დროს ქ. ბერლინში (გერმანია) მძიმედ დაიჭრა 6 წლის ყმაწვილი. ამავე დღეს მთელი რიგი ბავშვები დაიჭრა აგრეთვე ვედინგისა და ნეიკინის რაიონებში.

——

პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარების დროს მოწოდებების გავრცელებისათვის ნიუ-იორკში დააპატიმრეი 14 წ. მოწაფე მაიკელ ბიულაკი.

——

გრომადის წევრთა გასამართლების საპროტესტოდ მოწყობილ დემონსტრაციაში სკოლიდან გამორიცხეს 40 მოწაფე 12-16 წ. ორი იმათგანი მაშინვე დააპატიმრეს. მოწაფეებს უწყალოთ სცემეს პოლიციელებმა ხოლოს კედლებში. 14 წ. ლარისა შტელნიკი გრძნობის დაკარგვამდე სცემეს პოლიციის აგენტებმა.

მოზრდილთა მეთოდები

პალესტინაში მომხდარ მღელვარებათა გამო სკოლაში მოწყობილ გაფიცვების დროს ნანლიუსეში სკოლის დირექტორმა გამოიწვია პოლიცია და უბრძანა ამ უკანასკნელს გაეროზგა ოცი მოწაფე,

ამ გაფიცვის განმეორებისათვის შეიპყრეს ოციოდე. 16 წლის ყმაწვილები, ფულით დააჯარიმეს, ხოლო უნცროხებს როზგები დაარტყეს.

კომუნისტური გადახრებისათვის

ქ. რიგაში მცხოვრებთა ბინებში ჩატარებული გაჩხრეკების შემდეგ დააპატიმრეს მეოთხე სკოლის მოწაფეები: როზენტალი გრუნდილი და მახმაზერი რომლებსაც ბრალდებათ წაუყენეს კომუნისტური ეგიხადმი მიდრეკილება.

——

მხეცური მოპყრობა

ქ. ლიხოვში (ბულგარეთი) ყანდარმებმა სროლა აუტეხეს ბავშებს რომლებიც დადიოდენ ოჯახებში ახალი წლის მისალოცათ. სროლის დროს სახიკვდილოთ დაშავდა ერთი ბავში.

——

კანტონში (ჩინეთი) „კომუნისტური მოლვაწეობისათვის". დახვრიტეს 17, სკოლის ასაკის ბავში.

——

ვენაში 1929 წ. ხექტემბერს 12 ფაშისტი თავს დაესხა ხაექსკურსიოთ გამგზავრებულ ბავშებს და ხცემეს ისინი.

——

ზაგუეს მაზულში (დომბროვსკის აუზი—პოლონეთში) მმართველი მიუვარდა მოჯამაგირეების ბავშებს, რომლებიც იქვე მახლობლად თამაშობდენ და ისე მძიმეთ სცემა ისინი, რომ ვლადისლავ ვოლგინის 8 წლის ქალი ჩქარა გარდაიცვალა.

——

პიონერთა დაპატიმრება — ჩვეულებრივი მოვლენა

კლიშში (საფრანგეთი) დააპატიმრეს მოწაფე, პიონერული გამოცემების გავრცელებისათვის.

——

საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს, 13 წ. პიონერის მოკვლის შემდეგ, მარტო ვარშავაში 10 პიონერს (13-დან 14 წლამდე) მიესაჯა ხანგრძლივი პატიმრობა კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის. ჩატარებულია აგრეთვე დაპატიმრებანი სხვა ქალაქებშიაც.

——

ალზრდის თანამედროვე მეთოდები

გიუსელდორფის (გერმანია) ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ქალმა—ანა მელიოზმ ისე მძიმეთ სცემა მოწაფეს, რომ დალურჯებული ადგილები ორი კვირის განმავლობაში ეტყობოდა ბავშს.

მასწავლებელი ქალი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ სასამართლომ ის გაამართლა იმ მოსაზრებით, რომ სკოლის ავტორიტეტი დაცული უნდა იქნეს, სულ ეზთია „რა საშუალებითაც" არ უნდა იყოს ეს გატარებული ცხოვრებაშიო.

წელიწადი მეშვიდე

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალური და ტფილისის საოლქო კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

აპრილი 1930 № 4

რედაქციის მისამართი: ტფილისი კომინტერნის ქ. № 5, მეორე სართული ტელ. 17-42.

შინაარსი:

1. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და რემედასის ორგანიზაციების ამოცანები—დ. ნასარიძე. 2. ტრაქტორებს (ლექსი) — პოლიო აბრამიასი. 3. პირველი მაისის დღესასწაული—პ. ოდიშელი. 3. ბოლშევიკური თესვა მოითხოვს ჩვენს დახმარებას—გ. კრასნოშჩეკოვი. 4. მუშა ბრიგადირს (ლექსი)—ვასო გორგაძისა. 5. ახსენი და განმარტე პარტიის პოლიტიკა სოფლად. 6. კოლმეურნეობაში ნებაყოფლობით შედიან—ალ. მ—ლი. 7. ამხ. დავით გრიგოლის-ძე ნასარიძე (ბიოგრაფიული ცნობები). 8. ოფიციალური განყოფილება. 9. კორესპონდენციები ადგილებიდან და 10. ბიბლიოგრაფია.

რედაქციისაგან

რემედასის ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონული კომიტეტები ვალდებულნი არიან გამოარკვიონ ჟურნალ „რემედას"-ის ხელისმომწერთა რაოდენობა და სრული ცნობები წარმოადგინონ რემედასის საქ. ცეკას გამომცემლობაში ყოველი თვის 15-დე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალს ვერ მიიღებენ ხელისმომწერლები.

ჟურნალ „რემედას"-ის რედაქცია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ფარული პოლიციის აგენტები სდევნიან კომკავშირელებს.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და რემედასის ორგანიზაციების ამოცანები.

შეიძლება რემედასის წევრმა იკითხოს: „რა შუაშია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და ის ამოცანები, რომლებსაც არსებითად ისახავს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია—რემედასიო".

ჩვენის აზრით შემცდარი იქნება ასეთი შეხედულება, თუ კი მართლა ჩვენი ორგანიზაციის რომელიმე წევრი ფიქრობს, რომ სოფლის კოლექტივიზაციას და რემედასს არაფერი აქვთ საერთო ერთიმეორესთან.

სოფლის მეურნეობის უძველესი ფორმები: ე. ი. ინდივიდუალური წესით მიწის დამუშავება, უძველესი საწარმოო იარაღებით, როგორიცაა ათასი წლის განმავლობაში ხმარებაში შემოღებული: თოხი, სახნისი, კავი და სხვა უარყოფილი უნდა იქნეს, ყველაფერმა ამან მოსჭამა თავისი დრო და დადგა ისეთი ხანა, როდესაც მიწის დამუშავების ინდივიდუალური წესები და უძველესი იარაღები უკვე ბარდება ისტორიის არქივს, სამაგიეროთ კი, ჩვენ გადავედით მიწის დამუშავების ახალ ფორმებზე: სასოფლო-სამეურნეო არტელებსა და ახალ საწარმოო, სამეურნეო იარაღებზე, როგორიც არის:

ტრაქტორი, გუთანი, სალეწი, სანიავებელი რკინის ფარცხი, თესლის საწმენდი და სხვა სახის იარაღ - მანქანები.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამ გენერალურ ხაზის მიმართულებით სოფლად, დღეს სწარმოებს ნამდვილი რევოლიუცია გაშლილი ფრონტით. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მიმდინარეობს, მიუხედავათ მთელი რიგი, დაშვებული შეცდომებისა ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში. საჭიროა მხოლოდ უსასტიკესი ბრძოლა იქნეს წარმოებული ორი მიმართულებით: „მარცხნით" უკლონისტების წინააღმდეგ ერთის მხრით, ე. ი. იმ ჩვენი ამხანაგების მიმართ, რომლებიც დაადგენ ურატაქტიკის გზას.

სოციალისტური შეჯიბრების მეთოდებით ციფრების თამაშით ყურები გამოგვიქედეს კოლექტივების მრავალ რიცხოვანი ერთეულების ჩამოყალიბების შესახებ, რასაც ზედგათ მოჰყვა გლეხობის სამართლიანი უკმაყოფილება და კოლექტივების ნაწილობრივი დაშლა, რითაც მოხერხებულად ისარგებლეს ჩვენმა კლასიურმა მტრებმა — კულაკებმა და პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, ავანტიურისტ - მენშევიკებმა და სხვ. მეორეს მხრით აღმოჩნდა ისეთი შემთხვევებიც, რომ მემარჯვენე პირები, პანიკას მიეცენ და მიყვეს ხელი კოლექტივების დაშლას, მიუხედავათ იმისა, რომ გლეხები ზოგიერთ ადგილებში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდენ ამას

ამ ურა - ტაქტიკის ხალხს დაავიწყდა, რომ არის მოცემული საკავშირო ცეკას მთელი რიგი დირექტივებისა ამხ. **სტალინის** ცნობილი წერილის სახით, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის თებერვალში, სათაურით **„თავბრუ დახვევა მიღწევებით"**. ამასვე მოჰყვა ამხ. **მიხა კახიანის** წერილი. (გაზ. „კომუნისტის" № 67 - ში 25 მარტის თარიღით). ამხ. **სტალინის** მეორე დიდი წერილი (გაზ. „კომუნისტში" აპრილი 4-ის თარიღით) **„პასუხი ამხ. კოლმეურნეებს"**. დაბოლოს, ჩვენი მთავრობის ოფიციალური დადგენილება — (გამოქვეყნებული მარტის 25-ს თარიღით გაზ. „კომუნისტის" № 67) და სხვა, სადაც პარტია და ხელისუფლება სრულიად გარკვევით და ნათლად იძლევა განმარტებას იმის შესახებ, რომ კოლექტივების ჩამოყალიბება უნდა ემყარებოდეს მხოლოდა და მხოლოდ ნებაყოფლობის პრინციპს და არა გლეხების დაშინებას და ზეგავლენის აშკარა და ფარულ ხერხებს. რაც ყოველად დაუშვებელია, და რასაც პარტია და ხელისუფლება უსასტიკესი ზომებით სჯის.

მეორე მხრით ამ სადირექტივო მითითებაში წითელი ზოლივით ხაზგასმულია ისიც, რომ დიდ შეცდომათ არის აღიარებული, როდესაც არსებულ კოლექტივებს შლიან ადგილობრივი ზოგიერთი ამხანაგები, მიუხედავათ იმისა, რომ გლეხების უმრავლესობა ამის წინააღმდეგია. მთავრობის დადგენილებაში ნათქვამია შემდეგი: **„იმ კოლექტივებში, სადაც გლეხების უმრავლესობა მოითხოვს კოლექტივების დატოვებას, მათი გამაგრება-განმტკიცებას ყოველმხრივ-ვათ ხელი უნდა შეუწყოის".**

ეს გადახრები უდიდეს საფრთხეს უმზადებენ ჩვენი კოლექტივიზაციის ნორმალურ განვითარებას. ამიტომ მათ უნდა გამოეცხადოს უმკაცრესი ბრძოლა დამნაშავეების სამაგალითოდ დასჯით. ამ კოლექტივიზაციასა და მსხვილი ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებულია მსოფლიო ბურჟუაზიის სიმხეცე და ათასგვარი ოინები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

თანამედროვე მომენტი ხასიათდება კლასობრივი ბრძოლის უაღრესი გამწვავებით მსოფლიო მასშტაბში. მსოფლიო ბურჟუაზია უდიდეს სიმკაცრეს იჩენს, ის ფაშიზმისა და სოც. დემოკრატიის დახმარებით სახრჩობელაზე აგზავნის პროლეტარულ რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლთ. ალპობს ასებს და ათასებს ციხეებში, აძლიერებს დასახიჩრებულთა და ქვრივ - ობოლთა მილიონებს, ამიტომ სრულიათ გასაგებია თუ რატომ ძლიერდება რემედასის ორგანიზაციის წინაშე დასმული ამოცანებისადმი ყურადღება საერთაშორის მასშტაბით არა მარტო მუშათა კლასის და გლეხობის, არამეც სხვა საზოგადოებრივ თენებშიაც კი.

უაღრესად საჭირო ხდება რემედასის რიგების, როგორც რიცხვობრივი ზრდა, ისე მისი ხარისხობრივი გაუმჯობესებაც. საჭიროა რემედასის ხელმძღვანელი ამხანაგები შეიჭრან ჩვენი ცხოვრების ყველა კუთხეებში და გააძლიერონ ის ორგანიზაციები ყოველმხრივად, რათა ამით საშვალება მოგვეცეს პირნათლად შევასრულოთ ის რასაც საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების სასიცოცხლო ინტერესები გვიკარნახებენ: მაგალითად: გაუწიოთ იდეურ ორგანიზაციული. აგრეთვე ფინანსიური და მორალური დახმარებები კაპიტალისტური ქნეყნების მხეცური რეპრესიებით დასჯილ ამხანაგებს, რომელთა რიცხვი დღითი - დღე იზრდება.

ამიტომ, სოფლად დაწყებულ უდიდესი გარტეხის პერიოდში, ინდივიდუალურ მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე გადაყვანის დროს რემედასის ორგანიზაციის ყველა წევრებს ევალება გამოიჩინონ ენერგიის მაქსიმუმი და გაამალონ მუშაობა სოფელში ახლად ჩამოყალიბებულ კოლექტივების ყველა წევრთა შორის რემედასის უჯრედებში გასაერთიანებლად. მათი იდეურად წვრთნა-ვშირება და მათში ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობის გაჩაღება — წარმოადგენს ჩვენი მუშაობის უდიდეს ამოცანას. რემედასის ადგილობრივი: საოლქო, სამაზრო, რაიონული კომიტეტები და უჯრედები, უნდა ამოძრავდენ კოლექტივების წევრთა შესაკავშირებლათ, მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი მეთოდების სასტიკად დაცვით.

რა გაკეთდა ამ მხრით დღემდე ჩვენში? უნდა გულ - ახდილათ ვაღიარო, რომ ძალიან ცოტა! საკავშირო რემედასის ცეკას ანგარიშებიდან 1930—1-ლ იანვრისათვის რემედასის რიგებში ირიცხებოდა 10.000.000-დე წევრი. აქედან საქართველოში ამავე 1930 წ. იანვრისათვის ირიცხება — 106.957 წევრი.

საქარ. რემედასის ცეკას, თუ აქვს მიღწევები ქალაქებში მუშა - მოსახლეობის შორის — საკმაო დიდი ნაწილის შეკავშირების საქმეში, ჩვენ ამას ვერ ვიტყვით სოფლის ორგანიზაციებზე. აქ ჩვენ გვაქვს დიდი დეფექტები, რასაც უეჭველად უახლოეს ხანში ბოლო უნდა მოვუღოთ.

ზემო აღნიშნულ 106.957 კაციდან ¾ ჩვენი ორგანიზაციის წევრებისა მოდის ქალაქის მუშა-მოსამსახურეებზე. ამათში: მამა-კაცები: — 90.494. დედაკაცები 16.468; ეროვნული შემადგენლობით: ქართველი — 79.200, რუსი —9.118; სომეხი — 8.230, მუსულმანი და სხვა 8.728; პარტიული შემადგენლობა: კომუნისტები — 15.025, კოვკავშირლები — 13.318, უპარტიო— 76.726; აქედან ნათლად და გარკვევით სჩანს, თუ რა უდიდესი ამოცანები გვაქვს განსახორციელებელი სოფლათ. ყოველად წეუძლებელია ამ მდგომარეობის მოთმენა, რომ ჩვენი მუშაობა განსაკუთრებით სოფლათ ისეთ დაბეჩავებულ სახეს ატარებდეს როგორც დღემდის, მაშინ, როდესაც ჩვენი ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მოქმედების ცენტრში სოფლის კოლექტივიზაციაა მოქცეული.

ერთის მხრით სოფლათ უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ, როგორც რიცხვობრივ, აგრეთვე წევრთა ხარისხობრივ ზრდას, ხოლო მეორეს მხრით კი — ეროვნულ უმცირესობათა შორის ჩვენს მუშაობას

გაშლილი ფრონტით.

ქალაქებში რემედასის ყველა წევრები ფაბრიკისა და ქარხნის მუშებთან ერთად ჩაბმული არიან საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის პროცესში. მაგალითად: ხუთწლედის—ოთხწლედში შესრულების ამოცანა იპყრობს რემედასის წევრების უდიდეს ყურადღებას. სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, შრომის ნაყოფიერების აწევა, თვითღირებულების შემცირების, ბიუროკრატიზმის და გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის, შრომის დისციპლინის განმტკიცება წარმოებაში და მთელი რიგი სხვა საკითხების მოგვარება, აი, კიდევ რა იპყრობს რემედასის ორგანიზაციის წევრთა ყურადღებას. აი, საით უნდა იქნას მიმართული ჩვენი გაცხოველებული მუშაობა. სოფლის მეურნეობაშიაც ზემოაღნიშნული ამოცანები სდგანან ჩვენი ორგანიზაციების წინაშე.

რემედასის წევრებმა სოფლად ხელი უნდა შეუწყონ კოლექტიური მეურნეობის განვითარების საქმეს ყოველმხრივ მიიღონ აქტიური მონაწილეობა კოლექტიურ მეურნეობაში და აწარმოონ ამასთან ერთად კულტურულ - განმანათლებელი ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობა. დღემდე თუ ამ მუშაობისათვის ინდივიდუალურ მეურნეობაში პირობები ცუდი იყო, კოლექტიურად შეკავშირებულ გლეხთა მასებში — დღეს ჩვენი მუშაობის პირობები ყოველმხრივ ხელსაყრელია, რასაც რემედასის საოლქო - სამაზრო რაიონულმა კომიტეტებმა და უჯრედებმა უნდა ეხლავე მიაქციონ უდიდესი ყურადღება და გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები. აი ერთ-ერთი უდიდესი და გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანა, რომელიც ჩვენს წინ სდგას: მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ახლო ხანში დაკვრითი წესით უნდა ჩავატაროთ მთლიანი და ერთიანი სისტემის საფუძველზე გადასვლით რემედასის თანხების ცენტრალიზაცია ე. წ. **ინკასაციის** საშვალებით, რაც ჩვენ თავიდან აგვაშორებს: თანხების გაფლანგვის შემთხვევებს, ადგილობრივი ზოგიერთი საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებში, სხვა და სხვა ორგანიზაცია — დაწესებულებებისადმი სისტემატიურათ ჩვენი თანხების გასესხებას. რაც ჩვენს ორგანიზაციებს, როგორც ადგილებზე, ისე ცენტრში აყენებს მძიმე ფინანსიურ პირობებში, ვინაიდან ეს თანხები ხშირად აღარ გვიბრუნდება. ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

მთლიანი ინკასაციის სისტემის გატარება მეორე მხრით ნიშნავს ბიუროკრატიზმისა და გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენს ქვემდგომ ორგანიზაციებში. ამ რეფორმით ცეკას საშვალება ეძლევა უშუალო კავშირი დაიკავოს ყველა უჯრედებთან და გაუწიოს შესაფერისი ხელმძღვანელობა და კონტროლი, თუ რა ხდება იქ. როგორ აგზავნიან ისინი ფოსტის საშვალებით თანხებს ცეკაში დანიშნულ დროზე, ამასთანავე ერთად რემედასის ცეკას საშვალება მიეცემა უშუალოთ გაატაროს უჯრედებში მთელი რიგი სხვა ამოცანებიც.

მთლიანი ინკასაცია: ოლქკომებს, რაიკომებს და სამაზრო კომიტეტებს საშვალებას აძლევს, რათა განთავისუფლდენ ისინი თანხების ანგარიშგებისაგან, რაც მათ დიდ დროს ართმევს და ზედმეტ ხარჯებს უყენებს. სამაგიეროთ მათ ეძლევათ მთლიანი ინკასაციის გატარებით დიდი საშვალება აწარმოონ კულტურულ -განმანათლებელი აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობა მასაში. იმის შესახებ, თუ რა დიდ უპირატესობას გვაძლევს თანხების მთლიანი და ერთიანი ინკასაცია ამის შესახებ იხილეთ ჟურნალი „რემედას"-ის დღევანდელ ნომრებში მოთავსებული, ცეკას სადირექტივო წერილი, რომელსაც გულდასმით უნდა გაეცნოს ყველა, ჩვენი ორგანიზაციის წევრები და შეუდგენ სათანადო წინასწარ მზადებას. ამის შესახებ არაერთი და ორი სადირექტივო წერილები გაუგზავნია ადგილებისათვის ცეკას, თუმცალა უნდა ითქვას, რომ ის სადირექტივო წერილები არ ეხებოდენ მთლიანი ინკასაციის გატარებს საკითხებს არამედ ეხებოდენ მხოლოდ ინკასაციის ნაწილობრივათ გატარებას.

თუ როგორ უნდა გადავიდეთ ან როდის მთლიან ინკასაციის სისტემაზე, ამის შესახებ საქართველოს რემედასის ცეკა ახლო ხანში დაუგზავნის ყველა უჯრედებს სახელმძღვანელოთ დეტალურად დამუშავებულ ინსტრუქციებს, რასაც უნდა მიექცეს ოლქკომების, მაზრკომების, რაიკომებისა და უჯრედების განსაკუთრებული ყურადღება, მათი საფუძვლიანი შესწავლისა და ცხოვრებაში გატარების მიზნით.

მესამე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ცუდათ არის დაყენებული მუშაობა ჩვენს ქვემდგომ ორგანიზაციებში წევრთა აღრიცხვისა და სტატისტიკის მოგვარების საქმე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლექტივიზაციის ფრონტზე გაშლილი მუშაობის დროს. ჩვენი ორგანიზაციებისათვის ყოვლად შეუწყნარებლათ მიგვაჩნია ის, რომ ორგანიზაციის ბუნებრივ ზრდას თან არ მისდევს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა წევრების აღრიცხვისა და სტატისტიკის საკითხების მოგვარებით. ცეკაში თავის დროზე და დაუბრკოლებლათ უნდა იგზავნებოდეს სწორი ცნობები, თუ ყოველ ექვს თვეში ერთხელ არა — საანგარიშო წლის ბოლომდე მაინც.

მეოთხე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ორგანიზაციის წევრებში ძალზე სუსტათ არის დაყენებული რემედასის ლიტერატურის გავრცელების საკითხი.

ინდუსტრიისა და კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპით განვითარება აუცილებლათ მოითხოვს ჩვენი ლიტერატურის უკეთ და მეტათ გავრცელების საკითხის მოგვარებას. ძერძო აგენტების საშვალებით ლიტერატურის გავრცელება უარყოფილი უნდა იქნეს. ამის ნაცვლათ თვით უჯრედებში აქტივის ინიციატივით, ლი-

ტრაქტორებს

რკინის მერნებო,
ეს მინდვრები
გადავიაროთ.
დაცემულ ველებს
ფოლადის ნება
გავუზიაროთ.
გასწით მხარდამხარ,
ბელტი-ბელტებზე
გამოვაბრუნოთ.
მთიდან მთებამდე
მძლე სიმღერები
დავაგუგუნოთ.
ჰხედავ, ქვეყანას
დღე დაჰყურებს
ნათელ-მზიანი.
ფოლად-საკვეთით
გავაპოთ მიწა
ბარაქიანი.
მიჰვყვეთ ნაკვალევს,
ვთესოთ მარცვალი
და აღტაცება.
ცის დასავლისკენ
წავრეკოთ მკერდით
ღრუბელთა წყება.
დავდგეთ მხარდაჰხარ
მოვედვათ ველებს
უცხო მდევებათ.
დღეს უფრო მჭიდროთ
მიწას და შრომას
ერთად შევებათ.
ნზეს გადვუშალოთ
ამ სივრცეების
სიღრმე და სისქე,—
რომ ჭირნახული
ქალაქს და სოფელს
ჩვენ ერთხმად მივსცეთ.

პოლიო აბრამია

ტერატურის გაფრცელების გაძლიერებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება მთელი შემოსავლის 15 პროც. თვით უჯრედში დატოვებით, კულტურული მუშაობის გასაჩაღებლათ.

ამასთანავე დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ის, რომ რემედასის წევრთა რიგებში ძალზე სუსტათ სდგას საკითხი რემედასის მკითხველთა აქტივის ე. ი. „რემკორების“ დარაზმვის შესახებ, რომლებმაც უნდა გააცხოველონ თვითკრიტიკა ამას უნდა მიექცეს ადგლობრივი კომიტეტების ყურადღება, ამავე დროს გამოცოცხლებული უნდა იქნეს სარევიზიო კომისიების მუშაობაც.

მეხუთე და უმთავრესი ამოცანა ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე არის კოლექტივიზაციისა და მსხვილი ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით გაძლიერდეს პარტიისა და პროფკავშირების ხელმძღვანელობა და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ რემედასის ორგანიზაციებს, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, ეროვნულისოთი შეუძლებელი იქნება იმ ამოცანების განხორციელება, რაც ჩვენს ორგანიზაციებს აქვთ დასახული ცხოვრებაში გასატარებლათ.

დ. ნასარიძე.

პირველი მაისის დღესასწაული

პირველი მაისის დღესასწაული წარმოიშვა ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში. 1888 წ. ქ. ჩიკაგოს *) მუშებმა პირველ მაისს გამოაცხადეს გაფიცვა. ამ დღიდან პირველი მაისი მათ მიერ გამოცხადებულია საერთაშორისო მუშათა კლასის სადღესასწაულო დღეთ.

ჩიკაგოს მუშების ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მეორე ინტერნაციონალმა, რომელიც ამ დროს რევოლიუციონურ პოზიციებზე იდგა.

1889 წ. მეორე ინტერნაციონალმა თავის კონგრესსზე ამის შესახებ გამოიტანა დადგენილება, სადაც ნათქვამია: „ინიშნება უდიდესი საერთაშორისო მანიფესტაცია ერთხელ და სამუდამოთ დაწესებულ რიცხვში, რათა ერთდაიმავე დროს ყველა ქვეყნისა და ქალაქების მუშებმა წარუდგინონ საზოგადოებრივ ხელისუფლებას მოთხოვნილება 8 საათის სამუშაო დღისა და პარიზში მოწვეულ საერთაშორისო ყრილობის ყველა დადგენილებათა და კანონების გატარების შესახებ.

ამის შემდეგ გავიდა სრული 41 წ. და საერთაშორისო პროლეტარიატი ყოველწლიურად უდიდესი ზეიმით დღესასწაულობს ამ დღეს. 40 წ. განმავლობაში პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარებამ სავსებით ნათელჰყო მეორე ინტერნაციონალის სოციალისტების გამცემლური პოლიტიკა, რომლებმაც ეს დღე გაზაფხულის საზეიმო შეხვედრის დღეთ გადააქციეს და სრულიად ჩამოაცალეს მას რევოლიუციონურ-კლასობრივი შინაარსი.

იდღესასწაულეთ „სადაც მოსახერხებელია“, — „გადადევით დღესასწაული მახლობელ კვირამდე“.- „წელს (ეს იყო ცნობილი 1915 წ.) განსაკუთრებული პირობების გამო გადავდვათ დღესასწაული“ — ასეთი დადგენილებებით სოციალ-დემოკრატიამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სავსებით გამოაცალა რევოლიუციონური მნიშვნელობა ამ დიად—პროლეტარულ დღესასწაულს.

მიუხედავათ ყოველივე ამისა პირველ მაისის დღესასწაულის ისტორიაში არის აუარებელი ღირსშესანიშნავი მომენტები და დაუვიწყარი გმირული თავგანწირვა. ამრიგად, არც თუ ისე გულხელდაკრეფით იყო რევოლუციონური პროლეტარიატი. თუ ერთის მხრით სოციალ-მოლალატეები გაიძახოდენ ამ დღესასწაულის გადადების შესახებ, მეორეს მხრივ ბრძოლის ქარცეცხლში გამობრძმედილი პროლეტარული ავანგარდი ბარიკადებს მართავდა ქუჩებში და პირისპირ ებმებოდა თავის კლასობრივ მტერს.

ჯერ კიდევ 1896 წ. როცა ამხ. ლენინი ციხეში იმყოფებოდა ის წერდა თავის მოწოდებაში: „ამხანაგებო, თუ კი ჩვენ ერთსულოვანათ დამტკიცეთ გამოვალთ სამოქმედოთ, მაშინ, შორსა არის ის დრო, როცა ჩვენ მჭიდრო რიგებათ დარაზმულნი შევსძლებთ შეუერთდეთ ყველა ქვეყნის მუშების საერთო კლასობრივ ბრძოლას, ჩვენ სუყველანი ერთად, განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა შევსძლებთ ჩვენი საერთო ექსპლოატატორების წინააღმდეგ გალაშქრებას, აღიმართება ჩვენი დაკორძებული ხელები, და

*) ჩრ. ამერ. შეერთებულ შტატებშია.

ინგლისის ჯარისკაცები მიემგზავრებიან ეგვიპტეში აჯანყებულთა „დასაწყნარებლად“.

იმსხვრევა მონობის ყველა ბორკილი, რუსეთში ადგება მუშათა კლასი და წარღვნის მოახლოებასიგრძნობენკაპიტალისტები და საერთოდმუშათაკლასისყველამტრები".

ამბ. ვ. ი. ლენინის დასკვნები სტორი ალმოჩნდა:

პირველი მაისი ხელს უწყობდა ყველა მშრომელთა შეკავშირებას. ის შიშის ზარს სცემდა ბურჟუაზიას.-„ყოველწლიურად პირველ მაისის წინა დღით,-სწერდა ილიჩი — ჩვენი კლასობრივი მტრების ბანაკში იჭრება საშინელი შიში. პატარა, წვრილფეხა ფაბრიკანტიდან დაწყებული და უფლებამოსილი მეფით გათავებული, ყველანი გრძნობენ დაღუპვის აუცილებლობას. იმათ კარგათ იციან, რომ პირველიმაისის ყოველწლიურად დღესასწაული არის მუშათაბათალიონების დათვალიერება და მანევრები. ეს დღე არის თითოძლიერი ნაჯახის დარტყმა იმ ტოტზე, რომლებზედაცსხედანეს ნაძირალები. პირველი მაისი არის ჩაქუჩის ძლიერი დარტყმა მათ კუბოს ფიცარზე".

ამიტომ არის, პირველი მაისი კაპიტალისტურ ქვეყნებში მკაცრი ბრძოლის დღეთ გამოცხადებული. ამ დღისათვის კაპიტალისტები მობილიზაციას უთებენ მთელ თავიანთ ცოცხალ ძალებს, რათა განდევნონ მუშათა მანიფესტაციები, ჩარეკონ ისინი ისევ ჭერქვეშ, ხოლო უფრო აქტიურები ჩაჰყარონ ციხეში, ან ფიზიკურად გაანადგურონ ისინი.

ამრიგათ მთელი ქვეყნის მუშათა კლასისათვის პირველ მაისის დღესასწაული არის უდიდესი ზეიმისა და კლასობრივი ბრძოლის დღე.

ჯერ კიდევ 1890 წ. კარლ მარქსის თანამებრძოლი ფრიდრის ენგელსი, ამერიკისა და ევროპის პროლეტარიატის ძლიერი დემონსტრაციების დაკვირვების დროს აღტაცებით აღნიშნნავდა: „ო, ნეტავ მარქსი იდგეს ეხლა ჩემს გვერდით და ჰხედავდეს ის ამას თავისითვალებით. დღეს პროლეტარები ყველა ქვეყნისა მართლაც შეერთდენ"-ო. ამ დროს ფრანგული გაზეთები სწერდენ:



სამხრეთ-აფრიკაში—ერთ-ერთი ადგილობრივი „თავადის" ჯარი ინგლისის მამულებში.

ჯარები მზათ არის. უმნიშვნელოშეკრებულებაცკი, განდევნილი იქნება. ყველა ქალაქების პოლიციელები, ყველააგენტები-ფარულითუაშკარა პოლიციისა და პარიზის ფეხოსანი, ცხენოსანი თუ არტილერის გვარდიელები მზად იქნებიან".

ამრიგათ პირველ მაისის წარმოშობის პირველ დღიდანვე საერთაშორისი პროლეტარიატი ყოველგვარი რეპრესიული ზომებით ილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბრძოლა გრძელდება საერთაშორისო მასშტაბით და ამ ბრძოლაში ათასობითა და ასი ათასობით ეცემიან პროლეტარიატის საუკეთესო შვილები.

საერთაშორისო მუშათა კლასი მაინც მედგარი ნაბიჯებით განაგრძობს წინსვლას სოციალიზმისაკენ. ამ გრანდიოზულ კლასობრივ ბრძოლის პირველ რიგებში მიემართება კომპარტია, რომლის დროშის ქვეშ დარაზმულია დღეს მთელი ქვეყნის რევოლუციონური პროლეტარიატი. კომპარტია ხელმღვანელობს კლასობრივ ბრძოლას უშუალოთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ამიტომ არის, რომ მისი აქტიური წევრების მიმართ ესოდენ დიდ სიმკაცრეს იჩენს ბურჟუაზია თავისი კარგათ შეარაღებულ პოლიციის, ჟანდარმერიის, ჯარების და კლასობრივი იუსტიციის საშვალებით.

რამდენათ ძლიერია კლასობრივი ბრძოლა, რამდენათ მჭიდროთ ირაზმება მუშათა კლასი, იმდენათ ძლიერია ბურჟუაზიის შურისძიება. ამას მოსდევს აურაცხელი მსხვერპლი, ნადგურდებიან მუშათა მილიონიანი რიგები, მათი ოჯახები, იხოცებიან ისინი სიცივეში, სიტიტვლესა და სიმშილი.

პროლეტარიატი თავის კლასობრივ მტერთან ბრძოლის დროს ზრუნავს ამ განადგურებულთა ბედიღბალზე. საჭიროა მათი ფიზიკურათ გადარჩენა, მათი სიცოცხლის შენარჩუნება, მომავალი უფრო მკაცრი ბრძოლებისათვის. ამიტომ პირველ მაისს ჩვენ ერთი-ორად უნდა შევუწყოთ ხელი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასსა და გლეხობაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნების გრძნობების გაღვივებას.

ჩვენ უნდა დავრაზმოთ მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა ერთ მთლიან, მტკიცე, ფოლადისებურ რიგებში და ძლიერი ნებისყოფით მხარდაჭხარ გავყვეთ საერთაშორისო პროლეტარიატს.

პირველი მაისი არის საერთაშორისო მუშათა კლასის დღესასწაული და ამ დღეს ერთხელ კიდევ უნდა იგრძნოს საერთაშორისო ბურჟუაზიამ, რომ ახლოა მისი აღსასრულის ჟამი.

პ. ოდიშელი.

კოლექტივიზაციის ფრონტი

გულშემეტკური თესვა მოითხოვს ჩვენს დახმარებას

რის გაკეთებას გვაძლებს განზრახული თესვის კამპანიაში. დახმარება აგრონომებს.

ჩვენ აგრონომები და სპეციალისტები ძალიან ცოტა გვყავს. ისინი განსაკუთრებით დატვირთული იქნებიან საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების დრ-ს.

პიონერები და მოწაფეები ვალდებულნი არიან ყოველ აგრონომთან, სპეციალისტთან და თესვის ყოველ ხელმძღვანელ-მომწესრიგებელთან მიამაგრონ თანაშემწე ბრიგადელები გადაუდებელ და სასწრაფო ამოცანების განსახორციელებლად.

ეს ბრიგადელები ხელს შეუწყობენ აგრონომებს დროის ეკონომიის მოგვარებასა და მეურნეობისათვის აგრონომიის დროშის დაცვაში.

კოლმეურნეობა მიწის ფართობი ნაგრებად უნდა დაიყოს.

საჭიროა განსაზღვრულ იქნეს კოლმეურნეობის მიწის ფართობის საზღვრები. კოლმეურნეობათა მიწის ფართობი და საწარმოო მინდვრები უნდა დაიყოს მარცვლეულისა და სხვადასხვა კულტურის დასათესად, კოლექტიურ ბოსტნებად და სხვ.

საწარმოო სივრცე იყოფა მინდვრებად იმ ვარაუდით, რომ შესაძლო გახდეს ერთიანი კულტურის შემოღება.

კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია რამდენიმე სოფელი (ყოველი სოფელი არა ნაკლებ 400—500 ჰექტარისა), საწარმოო სივრცეს წარმოადგენს.

საწარმოო სივრცის ადგილმდებარეობა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებელი იქნეს ხელმძღვანელობის გაწევა.

მუშაობას უნდა ატარებდენ პიონერთა და მოწაფეთა ბრიგადები გამგეობის მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელის თაოსნობით.

დავალებათა სისრულეში მოყვანის ვადას განსაზღვრავს კოლმეურნეობის გამგეობა, მაგრამ არა უგვიანეს 10 დღისა თესვის დაწყებამდე.

მუშა საქონლის ჯანმრთელობა დაცული უნდა იქნეს.

საქონლის მოშენების დარგში მომუშავე ყმაწვილები ყალიბდებიან ბრიგადებში. კოლმეურნეობებში გაერთიანებულებისა და ბეითლებისათვის დახმარებ-ს აღმოსაჩენად, მუშა-საქონლის მოსამზადებლად, მის გამოსაყენებლად, და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

მუშა საქონლის მთელი რაოდენობა განიყოფა მძიმე (ხვნა-თესვა, ფარცხვა და სხვ.) და უფრო იოლ (მკა, მარცვლის გასუფთავება და სხვ.) სამუშაოთა შესრულების მიხედვით.

მოვამზადოთ მანქანები თესვისათვის

ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების წინაშე მთავრობამ დაკვრითი წესით წამოაყენა ამოცანა — სრული 100% დატვირთონ და გამოიყენონ ტრაქტორები, მანქანები და სასოფლო საშეურნეო იარაღები.

პიონერორგანიზაციებმა და სკოლებმა შეფობა უნდა აიღონ ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე; ეს მუშაობა უნდა დაევალოს მოზარდთა და სპეციალურ ბრიგადებს.

ბრიგადელებმა განსაზოგადოებული მანქანების იარაღებისა და ხელსაწყობიდან უნდა შეაგროვონ ვარგისი ნაწილი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის გაცვეთილ და გაფუჭებულ იარაღებს (კავი, ხის კბილებიანი ფარცხი, ძველის-ძველი სახნის-საკვეთი და სხვ.) არ ღებულობენ, როგორც უვარგისს.

ბრიგადელები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების კარგად შენახვას, გაწმენდას და მოვლა-პატრონობას. მუშაობის დამთავრების შემდეგ, გატეხის ან გაფუჭება-მოშლის დროს, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გამოწვეული ხელოსნები სარემონტო სახელოსნოდან.

ტექნიკური წრეები, სასკოლო და ჯგუფობრივი სახელოსნოები ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოძრავ სარემონტო სახელოსნოების საქმიანობაში.

თესლეულის შერჩევა.

პიონერთა ჯგუფებმა და სკოლებმა უნდა იკისრონ სათესლე მასალის ხარისხოვნურად შერჩევა, მათვე უნდა მიიღონ მონაწილეობა თესლეულის გარჩევა-გასუფთავებაში, უნდა შეაგროვონ კოლმეურნეობის წევრთა შორის ტომრები და იტვირთონ მათი შენახვა თესვის კამპანიის ჩატარების დროს.

ამ მუშაობის ჩასატარებლად გამოიყოფა ჯგუფი ყმაწვილებისა, რომლებიც იმუშავებენ კომლეურნეობის წევრთა შორის, ჯგუფის პასუხისმგებები ხელმძღვანელებით, იმ პირობით, რომ აუცილებლად დაცულ იქნეს აგრონომის რჩევა-დარიგების მიღება სათესლე მარცვლეულის შერჩევის დროს.

სანიტარული დახმარების აღმოჩენა.

მინდვრად მოშუშავეებისათვის სანიტარული დახმარება ყოველმხრივად უნდა უზრუნველვყოთ. პიონერი და მოწაფე ქალები ყალიბდებიან სანიტარული რაზმების სახით, მათ თან მიაქვთ დასათეს მინდვრებში მოძრავი აფთიაქი და საჭიროების დროს დაზარალებულს უწევენ პირველ სანიტარულ დახმარებას (შეხვევა და სხვ.)

უბედური შემთხვევების დროს ისინი ვალდებული არიან გამოუძახონ ექიმებს, დაზარალებულები გადაიყვანონ ჯაგვებით მახლობელ საექიმო პუნქტამდე (ბანაკი, საავადმყოფო).

კულტურული მუშაობის წარმოება.

პიონერები და მოწაფეები ვალდებული არიან იკისრონ კულტურული მუშაობის წარმოება კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მშრომელთა შორის. დასვენების დროს; ისინი ყოველთვის და ყველგან უნდა გახდენ კულტწამომწვებებად (გაზეთები, რადიო და სხვ.)

ბავშვები და კედლის გაზეთების ახალგაზრდა მუშაკები უნდა იყვენ ხელის შემწყობნი და სულის ჩამდგმელნი თესვის ფრონტის კედლის გაზეთების ჩამოყალიბებაში; მათვე უნდა იკისრონ ამ კედლის გაზეთებში საჭირბოროტო საკითხების გაშუქება. საინტერესო მასალების შეკრება წარმოებული მუშაობის შედეგების შესახებ; მათვე უნდა იკისრონ აგრეთვე მსუბუქი კავალერიის დახმარებით მუშაობის სუსტი ადგილებისა და ხელისშემშლელი პირების აღმოჩენა.

რადიოს მოსმენის შემდეგ ყმაწვილები ვალდებული არიან შეადგინონ და კედლის გაზეთში გასწერონ ცნობები საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის შესახებ და გაზეთი გამოჰფინონ თვალსაჩინო ადგილზე.

ამ ცნობებთან ერთად საჭიროა ყმაწვილების მიერ შეკრებილ და გამოქვეყნებულ იქნეს ცნობები ამა, თუ იმ ნათეს ფართობზე წარმოებული მუშაობის შესახებ.

მოწესრიგდეს ქვება.

თესვის დღეებში განსაკუთრებული ცხოველი ყუდადღება უნდა მიექცეს დათესილ ფართობზე მომუშავეთათვის ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის სამსახურის გაწევას.

პიონერები და მოწაფეები მოძრავ სამზარეულოს ეხმარებიან ჩაის ადუღებაში, სადილის, ვახშმის დამზადებაში და მის სწრაფად განაწილებაში.

გამოყენებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო გამოცდილება.

კოლმეურნეობის, საცდელი სადგურებისა და აგრომების მითითებათა თანახმად კისრულობენ გამოცდილებათა განხორციელებას, როგორიცაა, მაგალითად: ახალი კულტურებისა და დარჩეული სათესლეს გამოცდა, განოყიერება და სხვ.

ა) ჰყოფენ დათესილ სივრცეს ნაწილებად და ამუშავებენ მას.

ბ) ამზადებენ გასანოყიერებელ და სანერგე მასალებს.

გ) აწაუმოებენ დარგვას არსებული წესდებისა და მითითებათა თანახმად.

მიღწეულ იქნეს აგრომინიმუმი.

ჯერ კიდევ განუსაზოგადოებელ სასოფლო-სამეურნეო დარგში (მებოსტნეობა, მებაღეობა, ფრინველთა მოშენება და სხვ.) პიონერები ცდილობენ მიაღწიონ აგრონომიულ და ზოოლოგიურ მინიმუმს, ეხმარებიან ორგანიზაციას ამ მუშაობის განხორციელებასა და მოსავლის კონტრაქტაციაში.

გ. კრასნოშჩეკოვი

მუშა ბრიგადირს

„От ударных бригад—
К ударным цехам и заводам“
В. Маяковский.

წინად პოეტი
უმღეროდა შენს უბედობას—
ისროდა წყევას—
ნაპერწკლებად თვალცრემლიანი;
ხან ყალბი ლექსით
გულში რგავდა უიმედობას
ვით „ბოქულაძის“
მოჩღერალი ორბელიანი.
წავიდა ეგ დრო
შენი სისხლით პირამდე სავსე...
ცეცხლმა ამოსწვა
იმ დღეების ცრემლი ზღვაური.
დაჰკარ ჩაქუჩი,
დაივიწყე ჟამთა სიბრაზე
ახალი ქვეყნის
ხარ მჭედელი და მეთაური!
აგურს—აგური.
დაამაგრე ბეტონზე რკინა,
რომ მიუმატო
ფაბრიკების სართულს სართული.
კედლებთან ერთად,
ვხედავ, ფიქრიც მაღლა მიფრინავს;
ქვითკირში, ვამჩნევ,
შენი ნერვი არის ჩართული.
1930 წ.

დაარტყი ურო,
რომ სიცოცხლე სდუღდეს სხვაგვარად,
რომ გარდაიქმნეს
ძველი ყოფა თვალშეუდგამი.
შრომის სამყაროს
შემოვერტყათ უძლეველ ფარად
და მას დაუთმოთ
ჩვენი სუნთქვის ყოველი წამი.
დაარტყი მედგრად!
ორბისებურ აღგზნებისაკენ!
ბრძოლის პლაცდარმზე
არ ჩამორჩეს ვინმე ლაჩარი.
ყველა დაზგასთან!
ბრიგადიდან ქარხნებისაკენ—
რომ მშენებლობის
არსად გაწყდეს ძარღვი მაგარი.
წელგამართული
ცეხებს, ყანებს მხნედ შეუტიოთ
ახალ ცხოვრების
მტკიცედ ვჭედოთ რკინის კარები
კლდესაც გაკნეტავს—
თუ გვიბრძანებს რევოლუცია—
ფოლადის ბრძმედით
ჩამოსხმული ჩვენი მკლავები.

ვასო გორგაძე.

ახსენი და განმარტე პარტიის პოლიტიკა სოფლად

როგორ უნდა ვაშენოთ კოლმეურნეობა? რა უნდა განვასაზოგადოვოთ?

ამის პასუხს იძლევა სასოფლო-სამეურნეო ნადის ახალი წესდება.

ახლო წარსულში ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცეს სასოფლო-სამეურნეო არტელის, ანუ ნადის, ყველაზე უფრო გავრცელებული ახალი წესდება.

თანახმად ამ წესდებისა, ნადის წევრად შეიძლება იყოს ყველა მშრომელი, არა ნაკლებ 16 წლისა.

ნადში არ მიიღებიან კულაკები და საარჩევნო ხმის უფლებას მოხლებულნი.

ნიუ-იორკის (ამერიკა) ქუჩაში მიჰყავთ დაპატიმრებული დემონსტრანტი

ნადში არ შეიძლება აგრეთვე მიღებულ იქნეს ისეთი მეურნეობანი, რომლებიც კოლექტივში შესვლის წინ კვლავდენ ან ჰყიდდენ თავის საქონელს, ბაზარში გაჰქონდათ გასასყიდად მარცვლეული და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

რის განსაზოგადოება ხდება

კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ საყანე ადგილებში ისპობა ყოველგვარი საზღვარი, დასამუშავებელი მიწის სივრცე გადადის ნადის კოლექტიურ სარგებლიანობაში.

განსაზოგადოება არ ეხება ეზოებთან მოსაზღვრე მიწის ნაჭრებს, როგორიცაა, მაგალითად, ბოსტანი, ბაღჩა და სხვ.

ნადის კოლექტიურ ხმარებაში გადადის, ე. ი. განსაზოგადოებულ უნდა იქნეს მუშა საქონელი: ცხენი, ხარი და სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღები. წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელთა გამოყენება აუცილებელია და ურომლისოდ შეუძლებელია ბოსტნებსა და ბაღებში მუშაობის წარმოება, არ გადადის ნადის განკარგულებაში და მისი განსაზოგადოება არ ხდება.

თუ კერძო მეურნეობაში არის ორი ან სამი ძროხა, ერთი რჩება გლეხის განკარგულებაში, მისი პირადი სარგებლიანობისთვის, ხოლო დანარჩენი ორი კი გადადის სასოფლო-სამეურნეო ნადის განკარგულებაში და ჩაირიცხება სასაქონლო მეურნეობის რიცხვში. რაც შეეხება წვრილფერა საქონელს: ცხვარს, ღორს, თხას და შინაურ ფრინველებს, ამათი განსაზოგადოება არ ხდება, ამავე დროს არც საცხოვრებელი ბინები გადადის ნადის განკარგულებაში.

შესასვლელი გადასახადი

ნადში შემსვლელი ყოველი წევრი ვალდებულია შეიტანოს ნადის სასარგებლოდ თავისი ქონების 2—10%.

ახლა საკითხავია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ნადში წევრად შედის მასწავლებელი, აგრონომი, ან მოსამსახურე.

ასეთ შემთხვევაში შესასვლელის რაოდენობას განსაზღვრავს თვით ნადის გამგეობა. მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს შემსვლელის წლიური შემოსავლის 10%.

რაც შეეხება ნადში შესვლის მსურველ მოჯამაგირეს, ის იხდის ეთდროულად მხოლოდ 5 მანეთს.

კოლმეურნეობაში გარეშე მომუშავეს, ხელობით მუშას, გარდა ზემოაღნიშნული 10%, შეაქვს კიდევ თავისი წლიური ხელფასის 3%.

განსაზოგადოებული ქონების ნაწილი, მეოთხედიდან ნახევრამდე, გადაირიცხება ნადის განკარგულებაში არსებულ განუყოფელ ფონდში, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი წარმოადგენს საპაიოს.

იმ შემთხვევაში, როცა ნადის წევრი გადის შემადგენლობიდან, მას უბრუნდება და ხელზე ეძლევა საპაიოდ შეტანილი თანხა იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც შეტანილია ნადის განუყოფელ ფონდში. ნადიდან გასულს, ყოფილ წევრს მიწა არ უბრუნდება. გასვლის შემდეგ ის მიწით კმაყოფილდება თავისთფალი სახელმწიფო ფონდიდან.

კოლმეურნეობაში გაერთიანებულთა მოვალეობანი

ნადის წევრები გამგეობასთან ერთად ვალდებული არიან გააფართოონ დათესილი მინდვრების სივრცე, გააუმჯობესონ მიწის დამუშავების მეთოდები, დააყენონ სწორედ და სასურველ დონეზე განსაზოგადოებული ნივთების მოვლა-პატრონობა. ამავე დროს უნდა ცდილობდენ კოლმეურნეობის სამეურნეო და სხვა იარაღები გაცილებით უკეთესი იყოს კერძო პირთა სამეურნეო იარაღებზე. მათი მოვალეობაა მოაწყონ კლუბები, სკოლები, სახელოსნოები, საფრინველეები, ნალიები და სხვ. ისინი

ვალდებული არიან ამავე დროს მთელი შესაძლებლობით შეუწყონ ხელი ნადის წევრების, განსაკუთრებით კი ქალების და ბავშვების, კულტურული ყოფა-ცხოვრებითი დონის ამაღლებას.

წესდება ამყარებს წევრთა შორის შრომის ნაყოფიერებისათვის ხელფასის მიღების ერთიან სიმსტებას კოლმეურნეობაში.

შრომის უნარდაკარგულებს ნადიდან ეძლევათ მატერიალური დახმარება ნადის გამგეობის მიერ დაწესებული ნორმის თანახმად.

წესდებაში გათვალისწინებული მუხლების, წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის მიერ გამოტანილ დადგენილებათა აუსრულებლობის, ნადის ქონებისადმი გულგრილად მოპყრობისა და საერთო წესრიგის დარღვევისათვის დამნაშავე ისჯება გაკიცხვით, ჯარიმით, მუშაობიდან მოხსნით და სხვა, გაუსწორებელნი კი სრულიად გამოირიცხებიან.

კოლმეურნეობაში ნებაყოფლობით შედიან

ძალდატანებისათვის—სასტიკი სასჯელი

საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაცია უდიდეს და გრწყინვალე შედეგებამდე აღწევს.

უდიდესი ენერგიითაა ჩატარებული წინასწარი სამზადისი პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით, რომელმაც შემოიკრიბა ულარიბეს და საშუალო გლეხთა ფართე მასები. ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევა სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში.

მტერი სტყუის

საზღვარგარეთ და საბჭოთა ქვეყნების შიგნით აშკარად სტყუიან ჩვენი კლასიური მტრები; ისინი ლამობენ ფართედ გაშლილი კოლექტივიზაციის უხეშად დამახინჯებას. ამ უდიდესი მოძრაობის შესახებ ჰქმნიან ათასგვარ არარსებულ ლეგენდას. ისინი ავრცელებენ ჩვენს შესახებ ყალბ ცნობებს, საქვეყნოდ გაჰკივიან იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირში გლეხებს ძალდატანებით, მუქარით და იძულებით ერეკებოდენ კოლმეურნეობისაკენ.

ჩვენ ვალდებული ვართ ძირ-ფესვიანად აღმოვფხრათ მტრის მიერ უხვად დათესილი საზიზღარი ცილისწამება.

ერთხელ და სამუდამოდ კოლმეურნეობას საფუძვლად უნდა დაედვას ნებაყოფლობა.

ძალმომრეობით არ ერეკებიან კოლმეურნეობისაკენ

მშრომელი გლეხკაცობის ფართე მასები თვით ამოძრავდენ, მათ ნებაყოფლობით ისწყეს მასიური ლტოლვა ახალი ცხოვრებისაკენ ლენინური კომპარტიის მიერ ნაჩვენები და გაკაფული გზით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში აღმოჩნდენ მოუმწიფებელი და აბეზარი ამხანაგები, რომლებმაც ვერ გაიგეს პარტიის ამოცანები, გადაამლაშეს, გადაამახინჯეს მისი ლოზუნგები და ამით აამხედრეს გლეხობა ხელისუფლებისა და პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბევრ რაიონში წინასწარი მუშაობის ჩაუტარებლად, სათანადო პირობების მომზადებამდე, ისინი ბრძანებებით და ძალმომრეობით ლამობდენ კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბებას. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კოლმეურნეობისაკენ მოწოდება გლეხობამ გაიგო, როგორც ძალდატანების ერთ-ერთი უხეში ფორმა.

აბეზარი

ნოვგრად-ვოლინსკის რაიონში სად. ორესნუზე კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული მუშაობის ჩასატარებლად გამოცხადდა რაიკომის წარმომადგენელი ამხ. კოროლ. გლეხობისათვის კოლმეურნეობის შესახებ არსებული ელემენტარული წესდების მიცემამდე მან წინადადება მისცა დამსწრეთ ჩაწერილიყვნენ კოლექტივში და ხელისუფლების წარმომადგენლის ავტორიტეტული კილოთი დასძინა: ის პირნი, რომლებიც არ მოისურვებენ კოლექტივში ჩაწერას, კულაკებთან ერთად გადასახლებულნი იქნებიან სოლოვკაშიო.

გლეხობა ჩააფიქრა ამ განცხადებამ. რა თქმა უნდა, მათ ძალიან არ ესიამოვნათ სოლოვკაში გადასახლება. ან როგორ არ უნდა ჩაფიქრებულიყვენ, მაშ რა უნდა ექნათ? დიდხანს იფიქრეს, დიდხანს ბჭობდენ, შემდეგ ზანტად მოიქექეს კეფა და ჩაეწერენ კოლექტივში.

ლიუბარსკისა და სტაროკონსტანტინოვკის რაიონებში ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანების თანახმად განსაზოგადოებულ იქნა გლეხობის მთელი ავლა-დიდება, რომელიც მათ გადანახული ჰქონდათ ზანდუკებში. მთელი ქონება—ტანისამოსი, სხვადასხვა საოჯახო ნივთები—შეტანილ იქნა საერთო სალაროში, რის შემდეგ ეს ყველაფერი განაწილდა წევრებს შორის.

ეს ყოვლად უკანონო განაწილება გლეხებში იწვევდა გაუგებრობას კოლექტივიზაციის საქმეში. და რა გასაკვირალია, თუ ასეთი „განსაზოგადოების“ შემდეგ გლეხობამ პირი იბრუნა და ზურგი შეაქცია კოლმეურნეობას.

კულაკი კი გულდამშვიდებით და მომღიმარე შესცქერის ყველაფერ ამას, ცალი თვალით უყურებს შექნილ მდგომარეობას და აშინებს გლეხობას ამ გარემოების კიდევ უფრო გართულებით.

კულაკის სიხარული ნაადრევია

კულაკს ახარებს ასეთი „კოლექტივიზაცია“, ვინაიდან ის უკმაყოფილებას, შურსა და მტრობას სთესავს ულარიბეს, საშუალო გლეხებსა და მუშათა კლასსა და პარტიას შორის.

მაგრამ პარტია დაუნდობლად ებრძვის ასე ძალმომრეობით ჩამოყალიბებულ კოლექტივიზაციას და მის ხელმძღვანელ აბეზარებს.

დიდი უმრავლესობა გლეხური მეურნეობისა გაერთიანდა კოლექტივში სრულიად ნებაყოფლობით და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამ ნებაყოფლობითი მეთოდების დამცველად გამოდის და გამოვა პარტია ყოველთვის. აშკარაა, აბეზარები, რომლებიც საშინლად ამახინჯებენ პარტიის მიერ აღებულ ხაზს, საკადრის პასუხს მიიღებენ.

აუხსენით ეს გარემოება მშრომელებს.

ალ. მ—ლი.

ამხ. დავით გრიგოლის-ძე ნასარიძე

(ბიოგრაფიული ცნობები).

რემიდასის საქ. ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთ დანიშნის გამო.

ამხ. **დ. ნასარიძე** დაიბადა ქვემო რაჭის მაზრის, სოფ. ზედა-შავრაში 1883 წ. ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველ დაწყებითი სწავლა მან მიიღო ქვემო - რაჭის პატარაონის 2 — კლასიან სასწ., რომელიც დაამთავრა 1898 წ. მშობლების უსახსრობის გამო, მიუხედავად მისი უდიდესი სურვილისა ამხ. დათიკომ ველარ შესძლო სწავლის გაგრძელება და იძულებული შეიქნა ბავშობიდანვე მიეტოვებია მამის ოჯახი, რათა საკუთარი შრომით შეექმნა არსებობის წყარო.

ის 1899 წ. პირველად ჩამოდის ქ. თფილისში, დგება პანსიონში შავ მუშათ — ვინმე მანდენ - მანდენოვთან. ეს უკანასკნელი რუსული ენის მასწავლებლათ იყო სახელოსნო სკოლაში*).

აუტანელი შრომა მანდენოვის ოჯახში, და ბოლოს ავადმყოფობა იძულებულს ხდის მას გაშორდეს იქაურობას ერთი წლის შემდეგ ამრიგათ 1901 წ. გაზაფხულზე ის ისევ ბრუნდება სოფელში.

1902 წ. ბოლოში მეორეთ ჩამოდის თფილისში და დგება ერთ - ერთ აზიურ სასადილოს სამზარეულოში შავ მუშათ. აქ მას პირველ წელშივე უხდება მკაცრი შეტაკებები სასადილოს მეპატრონეებთან ათასგვარი უსამართლობის ნიადაგზე. მას ითხოვენ სამსახურიდან, ვერსად ვერ ახერხებს ახალ სამსახურში შესვლას და ისევ იძულებული ხთება დაუბრუნდეს სოფელს 1903 წ. შემოდგომაზე.

სოფელში ჩასვლისთანავე ამხ. დათიკო მხარში ამოუდგება მამას, რომელმაც შეასწავლა მას დურგლობა, გლეხებში ის განაგრძობს პროპაგანდა - აგიტაციას მეფის ტახტის წინააღმდეგ. 1905 წ. გაზაფხულზე ისევ ჩამოდის ტფილისში და დგება ერთ-ერთ სასტუმროში უფროს მუშათ. იმავე წლის ზაფხულში ის აწყობს გაფიცვას სასტუმრო „**გრანდ-ოტელ**"-ის მუშა-მოსამსახურეებში. გაფიცულებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილებები: 1) ჯამაგირების მომატება, 2) 8 საათის სამუშაო დღე და 3) მუშა - მოსამსახურეებისადმი ზრდილობიანი მოპყრობა.

სამი დღის გაფიცვის შემდეგ ამ მუხლებიდან დაკმაყოფილებული იქნა, პირველი და მესამე, ხოლო რაც შეეხება 8 საათის სამუშაო დღეს — გაფიცულებმა კატეგორიული უარი მიიღეს „ხაზეინებისაგან". .1905 წ. ივნისის 31—ამხ. ნასარიძე დაპატიმრებულ იქნა იმავე სასტუმროში, მთავარ-მართებლის — **ვორონცოვ - დაშკოვის** თანაშემწის გენერალ **შირინკინის** მოკვლის განზრახვაში მონაწილეობის მიღებისათვის, სოციალისტ - რევოლიუციონერ **დათიკო ჭაურის** ჯგუფთან ერთად, რომელიც გასცა ცნობილმა პროვოკატორმა **პეტროვმა.**

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, თუ როგორ ებმება ამხ. დავითი მაშინდელ არალეგალურ რევოლიუციონურ მუშაობის ფერხულში. 1903 წ. მას გაეცნო რუსეთის ს. დ. მ. პ. ერთ-ერთ აქტიური წევრი **რაჟდენ დოლიძე,** რომლის საშვალებით ის ეცნობა სხვა ჭერ-ქვეშ მომუშავე ამხანაგებს. მცირე ხნის განმავლობაში ამხ. **ნასარიძე** იმსახურებს ამხანაგების სრულ ნდობას პროპაგანდა-აგიტაციის დარგში.ეწევა ენერგიულ არალეგალურ მუშაობას მუშა - მოსამსახურეთა შორის ხსენებულ დოლიძესა და სხვებთან ერთად და სულ მოკლე ხანში, ე. ი. ამავე 1903 წ. გაზაფხულში ხდება არალეგალურ უჯრედის წევრი.

გენერალ შირინკინის მოკვლის განზრახვისათვის **დათიკო ჭაჩაურის** ტერორისტთა ჯგუფთან ერთად მან გადაიტანა საშინელი ფიზიკური წამება. მოთავსებულ იქნა მეტეხის ციხის საიდუმლო სასიკვდილო საკანში.

1905 წ. ივნისიდან—ოქტომბრამდე იჯდა მეტეხში, საიდანაც ის გაანთავისუფლეს 25—ოქტომბრის ცნობილ მანიფესტის გამოცემის შემდეგ 18—სხვა ამხანაგებთან ერთად, რომლებიც სხვა და სხვა დროს იქნენ შეპყრობილნი იმავე საქმის გამო.

1906 წ. იანვრის ბოლო რიცხვებში ამხ. **ნასარიძე** შედის ტფილისის ტრამვაის საამართველოში — ტრამვაის **კონდუქტორის** თანამდებობაზე. სადაც ის კვლავინდებურის ენერგიით აცხოველებს არალეგალურ მუშაობას ტრამვაელთა შორის: **იასონ ჯორბენაძე, ვასო იტრიევი, ტარასი მგალობლიშვილი, ილიკო წივწივაძესა** და სხვ. ამხანაგებთან ერთად ის ხდება თფილისის ტრამვაელთა ცნობილი მოძრაობის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი.

ტფილისის ტრამვაელთა შორის მოეწყო რამდენიმე თვალსაჩინო გაფიცვები 1906, 1907 და 1908 წ.წ. ყველა ამ გაფიცვებს უშუალოთ ხელმძღვანელობდენ ამხ. **ნასარიძე** და მისი ამხანაგები. ეს გარემოება არ გამოეპარა **ვორონცოვის** კარგათ დახელოვნებულ ჯაშუშებს და ის ისევ შეიპყრეს 1908 წ. მაისში.

ამავე წელს დეკემბერში ის სრულიად გაძევებულ იქნა ამიერ - კავკასიის ტერიტორიიდან და გადაასახლეს ჩრდილოეთ-კავკასიაში, ქ. კუბაში 2 წ. ვადით, სადაც ის დარჩა 1910 წ. დეკემბრის დამლევამდე.

ამხ. დათიკო არც კუბაში სტოვებს რევოლიუციონურ მოვალეობას და მიუხედავად გადასახლებულთა აუტანელი პირობებისა ის განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. ის მოახერხა კავშირი დაეჭირა დერბენდის ბოლკის ჯარის კაცებთან, სადაც გააჩაღა არალეგალური რევოლიუციონური მუშაობა.

მისჯილ ვადის დამთავრების შემდეგ ამხ. **ნასარიძე** ისევ ბრუნდება თფილისში 1911 წ. იანვარში და განაგრძობს არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებას და პროპაგანდას თფილისის ტრამვაის მუშებში.

ამ დროს ის ხვდება ტრამვაიდან გაძევებულ მუშებისაგან შემდგარ ტერორისტთა ჯგუფს, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა ამხ. **ტარასი მგალობლიშვილი.**

ეს ჯგუფი ჰკლავს თფილისის ტრამვაის დირექტორის მოვალეობის დროებით ამსრულებელს — ცნობილ პროვაკატორს და ჯალათს ვინმე **გისს.** ამ აქტის გამო სხვებთან ერთად ის შეიპყრეს და ექვსი თვით მეტეხში პატიმრობის შემდეგ 5 წ. ვადით გადაასახლეს დონის როსტოვში, სადაც მან დაჰყო მხოლოდ ორი წელი.

როსტოვში ყოფნის დროს ამხ. **ნასარიძე** ხვდება ამხ. **ფ. მახარაძეს,** განსვენებულ ალ. (საშა) **გეგეჭკორს, ე. კვანტალიანს, ა. კობახიძეს, ნ. ელიავას, მ. ჩოდრიშვილს, ა. ფი-**

*) ეხლა ამხ. კამოს სახელ. საფ. — საქ. სკოლ.

რედ.

ცხალავას, ერ. კალანდაძეს და სხვ., რომ-
ლებთან ერთად ის განაგრძობს როსტოვში
დანგრეულ პარტორგანიზაციის აღდგენას და
აქტიურ მონაწილეობას ღებულობს 4 სახელ.
სათათ. არჩევნების კამპანიაში. 1912
წ. შემოდგომაზე ფილტვების ანთებით ავად
ხდება და როსტოვის ორგანიზაცია საექი-
მოთ აგზავნის მას არალეგალურათ ქ. სო-
ხუმში ამჰ. სევა კუხალეიშვილთან.

სოხუმში ჩამოსვლისთანავე სევა კუხალე-
იშვილთან ერთად განაგრძობენ ენერგიულ
არალეგალურ მუშაობას სოხუმის ორგანი-
ზაციაში 1913 წ. იანვრიდან — აპრილამდე.
ისინი გასცა ვილაც ჯაშუშმა და ამხ. ნასა-
რიძე იძულებული ხდება გაიქცეს სპარსეთ-
ში აკაკი ხოშტარიას ტყის სამრეწველო სა-
ზოგადოებაში, სადაც ის იწყებს მუშაობას,
როგორც დურგალი. ერთ-ერთი მუშათა
არტელის თავმჯდომარეთ ირჩევენ მას და
1913, 1914 და 1915 წ. განაგრძობს ხოშტა-
რიას წარმოებაში არალეგალურ მუშაობას.

ეს მდგომარეობა არ გამოეპარა მრეწველ
ხოშტარიას და მისი ჯაშუშების დაბეზღე-
ბით განიზრახეს მისი შეპყრობა, სადაც მას
მოელოდა სასტიკი განაჩენი, მაგრამ ამხედ-
რებული მუშების კატეგორიული მოთხოვ-
ნით მან თავი დაანება მოსალოდნელ
აუცილებელ სასჯელს.

1915 წ. იანვრის შუა რიცხვებში ის იძუ-
ლებული ხდება გაიქცეს სპარსეთიდან ახალ
ბუხარის რკინის გზაზე სამუშაოთ, სადაც
დგება შავ მუშათ მიწის სამუშაოზე. ამხ.
ნასარიძე, აქაც არ სცხრება და განაგრძობს
არალეგალურ მუშაობას ადგილობრივ სარ-
თებსა და ფარსელ მუშებში და ავსტრიის
ფრონტზე, პერემიშლში სამხედრო ტყვეთ
ჩავარდნილ, ჯარისკაც რუსინებში, რომ-
ლებიც იქ გამოეგზავნათ იძულებითი სამუ-
შაოზე.

1916 წ. სექტემბერში ის იძულებული ხდ-
ება თავი გაანებოს იქაურობას და გამოიქ-
ცეს რაჭაში, ვინაიდან იქაც გასცა ჯაშუშ-
მა, ვინმე მოხუცმა მაისურაძემ. მას რაჭაშიც
აღარ უსვენებდენ ცნობილი ჯაშუშები:
კაცია, ილარიონი და დალოსტი დვალები
და ორი კვირის შემდეგ 1917 წ 25 თებერ-
ვალს ის ჩადის ქ. ბათომში და აქედან მიემ-
გზავრება ტრაპიზონისაკენ. აქ ის ეცნობა
ამხ. ბესო კვირკველიას, არამ ვართაპეტიანს,
ჰაიკა ოსეპიანს და სხვ. ამათთან ერთად ის
დიდი ენერგიით განაგრძობს პარტიულ მუ-
შაობას ჯარის - კაცებში. ამ ჯგუფს უდი-
დესი შეტაკების წარმობა უხდება საბჭოე-
ბის ჩამოყალიბების დროს სოც. რევ., სოც.
დემოკ., გაიდამაკებთან, დაშნაკებთან, ფე-
დერალისტებსა და სხვა პარტიის წარმომა-
დგენლებთან.

იმავე წლის ოქტომბერში ჩამოაგდეს სო-
ციალ - რევ. და მენშევიკური პარტიის
ტრაპეზონის საბჭოს მთელი შემადგენლობა
და ძალა - უფლება ხელთ აიღო ბოლშევი-
კურმა პარტიამ ამხ. დ. ნასარიძის, ბესო
კვირკელიას, ვართაპეტიანისა, ოსეპიანისა
და სხვების მეთაურობით. საბჭოს თავმჯ-
დომარეთ ირჩევენ ამხ. ბესო კვირკელიას,
ხოლო მის პირველ თანაშემწეთ ამხ. დ. ნა-
სარიძეს. საბჭოსა და ბოლშევიკური პარ-
ტიის ტრაპეზონის კომიტეტის დადგენი-
ლებით ამხ. ნასარიძე წამოყენებულ იქნა
ტრაპეზონის სახალხო კომისართა საბჭოს
სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს
თავმჯდომარეთ.

ამ კომიტეტის უშუალო განკარგულებით
გაიგზავნა თურქესტანის, რამდენიმე, ბოლ-
შევიკურათ განწყობილი პოლკი სამხრეთ-
რუსეთის ფრონტზე მეფის ერთგული დამ.
ქაშის, ცნობილ გენერალ კალედინის წინა-
აღმდეგ. ამ პოლკებმა ჩრდილოეთიდან წა-
მოსულ არმიასთან ერთად ცნობილი მურა-
ვიოვის მეთაურობით საბოლოოთ გაანად-
გურეს ეკატერინოდარში კალედინის შავი
რეაქცია.

1918 წ. თებერვალში მძიმე ავადმყოფო-
ბის გამო ამხ. ნასერიძე წამოიყვანეს ქ. ბა-
თომში. მაგრამ აქ ჩამოსვლისთანავე ის შე-
იპყრეს ნოე რამიშვილის განკარგულებით
და მოთავსებულ იქნა ჰოსპიტალში ჟორდა-
ნია - რამიშვილის გაქნილი პოლიციის ზე-
დამხედველობით. იმ ხანებში ამიერ - კავ-
კასიის სეიმის დადგენილებით მენშევიკურ-
მა ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო ბათომის
ფლოტი. ამასთან დაკავშირებით ამხ. ნასა-
რიძეც შეიპყრეს 300 მეზღვაურთან ერთად
და რამიშვილის განკარგულებით უნდა გა-
დმოეგზავნათ ქალ. თბილისში და გაქცევის
ცდის საბაბით უნდა დაეხვრიტათ გენერალი
კარალოვის დაბეზღებით, იმისათვის, რომ
ამხ. ნასარიძე ტრაპიზონის ფრონტიდანაც
სასტიკად ებრძოდა ა.-კ. სეიმის მთავრობას
და არაფერს უშვებდა საქართველოში.

ამხ. დათიკო, ამხ. ა. ურუშაძისა და ვ. ბა-
ხტაძის ხელისშეწყობით ვალოდია ლოლუას
უშუალო დახმარებით ახერხებს საავადმყო-
ფოდან გაქცევას და სასწრაფოთ მიდის ქუ-
თაისის საგუბერნიო კომიტეტში, რომელ-
საც უკეთებს მოხსენებას ბათომში და ტრა-
პეზონის ფრონტზე შეჰქმნილი მდგომარეო-
ბის შესახებ. ამის შემდეგ ქუთაისის საგუ-
ბერნიო კომიტეტი მას გზავნის რაჭის მაზრ-
აში პარტიულ მუშაობის გასაცხოველებლათ.
ამხ. ნასარიძე რაჭაში მუშაობს 1918 წ. აპ-
რილის 1-დან 1920 წ. დეკემბრამდე: ამხ.
შამშე ლეჟავასთან, ა. კობახიძესთან, პ. წუ-
ლუკიძესთან, კ. ენუქიძესთან, ა. და ი. ყრუა
შვილებთან, ლოზნგინოზ მასხარაშვილთან,
პ. დვალთან, გ. თვალჭრელიძესთან, გ. ფო-
ფხაძესთან და სხვ. ერთად. აღნიშნულ წლ-
ებში ამხ. დათიკო ორჯერ იქნა დაპატიმრე-
ბული რაჭის მაზრის მენშევიკური ხელის-
უფლების მიერ.

1920 წ. შემოდგომიდან რამიშვილის სა-
სტიკი რეპრესიის გამო ის იძულებული ხდე-
ბა მიატოვოს რაჭის მაზრა და იმავე წლის
დეკემბერში ჩადის თფილისში. თფილისის
კომიტეტის დავალებით ის იგზავნება სომ-
ხეთის მისიაში. სამი თვის სამსახურის შემ-
დეგ დააპატიმრეს მისიის მთელი შემადგენ-
ლობა, რომელსაც მოყვა ამხ. ნასარიძეც.
ეს მოხდა მენშევიკური საქართველოსა და
დაშნაკურ—სომხეთს შორის ურთი - ერთო-
ბის გამწვაევების ნიადაგზე. ომის დაწყების
წინ. ამასვე მოჰყვა ადერბეიჯანის და რუსე-
თის მისიების თანამშრომელთა დაპატიმრე-
ბაც. ამხ. ნასარიძე სხვა ამხანაგებთან ერ-
თად გადაგზავნილ იქნა ქუთაისის საკატო-
რღო ციხეში. 1921 წ. მარტის 1-ლ რიც-
ხვებში ათასზე მეტ ბოლშევიკებთან ერთად
ის გადაგზავნილ იქნა ბათომის ციხეში, სა-
დაც სხვებთან ერთად ის იჯდა საქართვე-
ლოს გასაბჭოებამდე.

1921 წ. მარტის 17-ს საქართველოს მენ-
შევიკური მთავრობის საზღვარგარეთ გაქ-
ცევის შემდეგ ბათომის ოლქის რევოლიუ-
ციონურ კომიტეტის ჩამოყალიბებაში ის
ღებულობს აქტიურ მონაწილეობას და ამხ.
თენგიზ ჟღენტთან ერთად რევკომის მიერ
იგზავნება დროებით კომისრათ ბათომის
გარნიზონის შტაბში. რამდენიმე დღის შემ-
დეგ ამხ. ნასარიძე იგზავნება თფილისში
პარტიის ცეკას განკარგულებაში ; იმავე
წლის, მარტის 24-ს, ინიშნება ის თფილისის
რევკომის ადმინისტრატიული განყოფილე-
ბის გამგეთ.

1921 წ. ივნისის პირველ რიცხვებიდან სა-
ქართველოს კომპარტიის ცეკას განკარგუ-
ლებით ის იგზავნება რაჭის მაზრაში პირ-
ველ პარტკონფერენციის ჩასატარებლათ,
სადაც ის არჩეული იქნა სამაზრო კომიტე-
ტის მდივნათ და სადაც დარჩა 1922 წ.
მაისამდე.

მაისიდან ის გადაჰყავთ თფილისში სხვა
და სხვა დავალებათა შესასრულებლათ, ხო-
ლო იმავე წლის სექტემბრის 1-ლ რიცხვე-
ბიდან ამხ. ნასარიძე ინიშნება უზენაესი
ტრიბუნის კოლეგიის წევრათ, სადაც მან
დაჰყო სრული ერთი წელიწადი. 1923 წ.
თებერვალში ის დაინიშნა წარმომადგენე-
ლათ საქ. საგანგებო კომისიის კოლეგიაში.
1923 წ. სექტემბრიდან — კი სასამართლო
ორგანოების რეფორმის შემდეგ დაინიშნა
აღმას. საქ. საოლქო სასამართლოს წევრად,
სადაც ის ერთ - ერთ თავმჯდომარეთ ით-
ვლებოდა სისხლის სამართლის განყოფილე-
ბაში. აქ დარჩა 1925 წ. ივნისამდე. კომპარ-
ტიის ცეკას მიერ ის გადაგზავნილ იქნა
გლეხთა ცენტრალურ სასახლის ორგანიზა-
ტორათ, რომლის გამგეთ ის დარჩა 1925 წ.
ბოლომდე.

1926 წ. აპრილის პირველიდან ამხ. ნასა-
რიძე ინიშნება საქართველოს კომპარტიის
განკარგულებით ხელოსანთა კავშირის გა-
მგეობის თავმჯდომარეთ, სადაც ის დარჩა
1929 წ. მარტამდე, ხოლო 1929 — წლის
მაისის პირველიდან ის ინიშნება აგარაკ შამ-
შოვის დროებით დირექტორად, სადაც ის
დარჩა 1930 წ. მარტის 20-მდე.

ამჟამათ თანახმათ საქ. კომპარტიის ცენტ-
რალურ კომიტეტის დადგენილებისა ამხ.
ნასარიძე დაინიშნა რემედასის საქ. ცენტრ.
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთ.

მისაბაძი მაგალითი

ქ. ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ რემედასის საერთაშორისო დღისა (18 მარტი) და პარიზის კომუნის 59 წ. თავის ალსანიშნავათ დაადგინა ყოველთვიურათ ერთი საათის ხელფასი გაიღონ რემედასის ორგანიზაციის სასარგებლოთ გერმანიაში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებამდე.

კრების მიერ შეჯიბრში გამოწვეულია ჯოლეჯიანის ხე-ტყის ქარხნისა და ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშა-მოსამსახურეები.

ეს დადგენილება ცხოვრებაში გატარებული იქნება პროფორგანიზაციების დახმარებით, რაც უკვე შეუთანხმდა სამაზრო პროფბიუროს.

დ. ხურცილავა

ოფიციალური განყოფილება

სადირექტივო წერილი

რემედასის ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს.

რემედასის ორგან. მონაწილეობის შესახებ 1-მაისის დღესასწაულში 1930 წ.

ძვირფასო ამხანაგებო!

კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერების, ფაშისტური რეაქციის გამძაფრების, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომების მოწყობის ლოზუნგების ქვეშ და ახალი იმპერიალისტური ომისათვის სამზადისის პირობებში იქნება მიმდინარე წელს ჩატარებული 1-ლი მაისის დღესასწაული.

კაპიტალიზმის კრიზისი, რასაც თან სდევს მასიური უმუშევრობა, იმპერიალისტური ქვეყნების ძალადობა კოლონიურ და ნახევრად-კოლონიურულ ქვეყნებში, ხელს უწყობს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. მომუშავე და უმუშევართა მასიური გამოსვლები 6-მარტს, რევოლიუციონური პროფ-ოპოზიციის თვალსაჩინო გამარჯვება გერმანიაში ნათლად გვარწმუნებს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების, მშრომელი მასები დღითი-დღე უფრო მჭიდროთ ირაზმებიან კომინტერნის ლოზუნგების ირგვლივ და საბოლოოთ თავს აღწევენ რეფორმისტებისა და სოციალ-გამყიდველების გავლენას.

საბჭოთა კავშირში 1-ლი მაისის დღესასწაული ჩატარებული იქნება მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხკაცობის გამარჯვების ნიშნის ქვეშ სოციალისტურ ფრონტზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნებობა აქვს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი 1-ლ მაისს, ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში მოპოვებულ მიღწევების დემონსტრაციასთან ერთად გამოაშკარავებს თავის ერთსულოვნებას საერთაშორისო პროლეტარიატისადმი

1-ლ მაისის დღესასწაულში აქტიური მონაწილეობის მიღებასთან ერთად, რემედასი მიზნათ ისახავს კაპიტალისტურ ქვეყნების საშეფო ციხეებში მოქცეულ პოლიტპატიმრებზე მზუნველობის გაძლიერებას, როგორც ინტერნაციონალურ ერთსულოვნების პრაქტიკულ გამოსახულებას საბჭოთა კავშირისა და საზღვარეთელ, პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა შორის.

საშეფო მუშაობა, რომელიც დღემდის განისაზღვრებოდა მხოლოდ პოლიტპატიმრებისადმი წერილების მიწერით—მომავალში უნდა გახდეს, საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებისა და საზღვარგარეთელ რევოლიუციონურ მოძრაობას შორის მტკიცე კავშირის განმტკიცების საშვალება. ამ მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს იმ ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარების შესწავლას, სადაც არსებობს ეს საშეფო ციხე.

ამასთან დაკავშირებით რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტი წანადადებას გაძლევთ, დაუყონებლივ შეუდგეთ საპირველმაისო დღესასწაულის ჩატარების წინასწარ სამზადისს.

ეს კამპანია ჩატარიბული უნდა იქნეს შემდეგი ლოზუნგებით:

1. კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე გაძლიერებული რევოლიუციონური მოძრაობისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცილის წამების კამპანიის ახსნა-განმარტება. და სოციალ-გამყიდველების როლისგამ ოაშკარავება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში.

2. ინტერნაციონალური კავშირის გაძლიერება, პოლიტ-პატიმრებზე შეფობის საშვალებით მათი ოჯახებზე და რემედასის უჯრედების მონაწილეობა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაში.

3. რემედასის წევრთა აქტიური მონაწილეობა უმთავრეს პოლიტიკურ და სამეურნეო-სამრეწველო კამპანიებში („ხუთწლედი-ოთხწელში"-ს სესხის გავრცელება), წარმოებებში რემედასის წევრთა სრული 100%-ით ჩაბმა დამკვრელ ბრიგადებში, აქტიური მონაწილეობის მიღება სამრეწველო ფინგეგმების ცხოვრებაში გასატარებლათ, მონაწილეობა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობაში—რემედასელის კოლმეურეობაში ჩაბმით.

4. ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობის გამოცოცხლება საგაზაფხულო თესვის პერიოდში. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა რევოლიუციონური მოძრაობისადმი კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქეყნებში (ჩინეთი, აფრიკა, მექსიკა).

5. რემედასის ახალგაზრდა მეგობართა მუშაობაში მშრომელთა ბავშების ფართეთ ჩაბმა, როგორიც არიან მოწაფეები და პიონერები. მათი მობილიზაცია საერთაშორისო ბავშთა კომუნისტურ მოძრაობის საკითხების ირგვლივ.

ვინაიდან 1-ლი მაისისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ხვდება აღდგომის დღეებში—ამიტომ მასიური აღმზრდელობითი მუშაობა უნდა დაუკავშიდრდეს ანტი-რელიგიურ კამპანიას. ეკლესიის მომხრეების და საბჭოთა კავშირზე ჯვაროსნული ომების მქადაგებელთა გამოსვლების კონკრეტიულ ფაქტებზე უნდა იქნეს მიქცეული მთავარი ყურადღება და ახსნა-განმარტება მიეცეს საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში რელიგიისა და სამღვდელოების კონტ-რევოლიუციონურ როლს. ამისათვის მჭიდრო კავშირი უნდა იქნეს გაბმული მებრძოლ ულმერთოთა საზოგადოებასთან.

1-ლ მაისის დღესასწაულის ღირსეულად ჩასატარებლათ რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს რემედასის ადგილობრივ კომიტეტებს წარსული წლების მაგალითების მიხედვით ყურადღება მიაქციონ შემდეგ ღონისძიებათა ჩატარებას:

საერთო დემონსტრაციაში მონაწილეობა, ინტერ-

ნაციონალური მიტინგების მოწყობა ქუჩებსა და მოედნებზე, სადაც უნდა მოეწყოს პოლიტ-ემიგრანტების გამოსვლები (თუ არიან ასეთები). ამავე დროს უნდა მოეწყოს მასიური გამგზავრება და რემედასის წევრთა ექსკურსიები მახლობელ საბჭოთა და კოლმეურნეობებში.

1-ლ მაისის ჩამტარებელ კომისიასთან შეთანხმებით (საქალაქო, სარაიონო კომისიები) საერთო დემონსტრაციაში ჩამოყალიბებული იქნას რემედასის კოლონები—რემედასის ახალგაზრდა მეგობრების შემადგენლობით. მოეწყოს კარნავალი რევოლიუციონური მოძრაობის ცალკე მომენტებისა და ეპიზოტების ინსცენიროვკით, სადაც გამოსახული იქნეს თეთრი ტეროორი, კლასობრივი იუსტიცია და ბურჟუაზიის სხვა საომარი მეთოდები.

მოეწყოს „ინტერნაციონალური მაისობა" სოფლად და ქალაქად ბაღებში სათანადო მხატვრული პროგრამის მიხედვით.

როგორც მიტინხებსა და კრებებზე გამოსვლები, ისე ლოზუნგები და რემედასის მხატვრული კოლექტივების გამოსვლები მიმართული უნდა იყოს საშეფო მუშაობის განმტკიცებისა და მისი ინტერნაციონალური მნიშვნელობის ახსნა-განმარტებისაკენ.

1-ლ მაისის დღეებში მოწყობილი უნდა იქნეს საფაბრიკო-საქარხნო, საშეფო კულტბრიგადების და პროფკავშირების ორგანიზაციების მასიური გამგზავრება კოლ და საბჭოთა მეურნეობებისაკენ.

საჭიროა ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული ბრიგადელთა შორის აქტიურ რემედასელების ჩასაბმელათ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სოფელს კაპიტალის პატიმრებზე საშეფო მუშაობის მოგვარებაში. კამპანიის დღეებში საჭიროა კოლ-მეურნეობებში ჩაბმულთა ყურადღება მიექცეს მიწის საერთო ფონდიდან რემედასის ზოლების გამოყოფას.

ბავშთა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის 10-წლის თავთან დაკავშირებით, რომელიც განზრახული აქვს კომუნისტური ახალგაზდობის ინტერნაციონალს ჩატარეს წელს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში პირველად 1-ლ მაისს (რომელიც ჩატარებული იქნება პროლეტარული ბავშვების ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით, სოციალ-ფაშისტების მიერ ბავშთა ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის, ნაციონალური შუღლის გაღვივების და იმპერიალისტური ომის სამზადისის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობის ნიშნის ქვეშ), ივნისში კი საერაშორისო პროლეტარულ ბავშთა შეკრების დროს, როგორც სადღესასწაულო სამზადისის დაწყების მომენტში, ისე 1-ლ მაისის დღეებში რემედასის ახალგაზდა მეგობრებისა და მოწაფეობის ყურადღება მიქცეულ იქნეს კაპიტალისტურ ქვეყნებში გაძლიებულ ბავშთა კომუნისტური მოძრაობისადმი.

რემედასის აქტიური წევრთა ჩასაბმელათ საპირველმაისო დღესასწაულის სამზადისში რემედასის საქართველოს ცეკა გავალებთ გამოჰყოთ თქვენი წარმომადგენლები 1-ლ მაისის დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიაში.

1-ლ მაისის დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობის მიღების მიზნით გევალებათ ყოველმხრივათ გამოიყენოთ სოცშეჯიბრების მეთოდები.

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს 1-მაისის დღესასწაულში მონაწილეობას, რომელმაც მობილიზაცია უნდა გაუკეთოს მშრომელთა ფართო მასას კლასიური ბრძოლის გამწვავების საკითხების ირგვლივ, საშეფო მუშაობის გაძლიერებისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობის ნიშნის ქვეშ.

კამპანიის ჩატარების შედეგები გადმოგზავნილი უნდა იქნეს რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, არა უგვიანეს მ/წ. მაისის—15-სა.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე: დ. ნასარიძე.

საგიტ. საპრ. განყ. გამგის მოადგილე: პ. აბრამია.

<u>ცირკულიარულად</u>

რემედასის ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს

გასული 1929 წლის ფინანსიური მოღვაწეობის დეტალური ანალიზის შემდეგ რემედასის საქ. ცეკა ამ დარგში ნაწილობრივად შემჩნეულ მიღწევებთან ერთად აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლულოვანებებს, რომლებიც მოითხოვენ დაკვრითი წესით, დაუყონებლივ გამოსწორებას. დიდი ხანია ჩვენს წინაშე სდგას ქვემდგომ ორგანიზაციაში ფინმუშაობის გარკვეული და ერთიანი სისტემის შემოღების საკითხი. ამ სისტემის ცხოვრებაში გატარების ძირითად ღონისძიებებს წარმოადგენენ:

1. შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის დისციპლინის გატარება ცხოვრებაში,

2. ერთიანი ანგარიშგებათა დაწესება.

3. ქვემდგომ ორგანიზაციებიდან ყოველთვიური ფინ-ანგარიშგებათა მიღება.

4. თანხების ინკასაცია ფოსტის საშვალებით.

5. რემედასის საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტების აპარატის განტვირთვა ანგარიშწარმოებასდან დაკავშირებულ მუშაობისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოხსენებული ღონისძიებანი, არა თუ ტარდება მთლიანად ჩვენს ორგანიზაციებში, არამედ ხშირად ირღვევა კიდეც ზემოაღნიშნული ფინანსიური მუშაობის სისტემა. ასეთი მდგომარეობა ნათლად გვარწმუნებს, რომ მოსალოდნელი შედეგები არ არის მიღწეული. კომიტეტებში შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შეჩერება უჯრედებს სტოვებს სამოქმედო გეგმისა და მეთვალყურეობის გარეშე. თანხების ინკასაცია ფოსტის საშვალებით ნაწილობრივად გატარებულია, რასაც ერთგვანი არევ-დარევა შეაქვს ანგარიშიანობის საქმეში, ეს მდგომარეობა აფერხებს ორგანიზაციებისადმი მარკების და საწევრო წიგნაკების მოწოდებას, ვინაიდან სავალდებულოა უკლებლივ ყველა საფოსტო განყოფილებებისა და ამავე დროს ზოგიერთ კომიტეტებისად-

მი ასეთების მიწოდება, რომლებიც ჯერ კიდევ საკსებით არ არიან გადასულნი ახალი წესით ფოსტასთან მუშაობაზე.

დღეს, როცა დიდი მოთხოვნილებაა საწევრო წიგნაკებისა და მარკების, წევრთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, სასტამბო საქმეებში შემჩნეულ დაბრკოლებათა გამო, ზემოაღნიშნულ მიწოდების ორგვარი წესი ჰქმნის ცუდ-პირობებს ჩვენი მუშაობისათვის, რასაც შედეგათ მოსდევს საწევრო წიგნაკების და მარკების დაგროვება ზოგიერთ კომიტეტებისა და საფოსტო განყოფილებებში, მაშინ როდესაც ასეთების უდიდესი მოთხოვნილებაა სხვა ადგილებში.

რემედასის საქ. ცეკას დირექტივა (1929 წ. დეკემბრის 19 თარიღით. № 603 ყველა სარევიზიო კომისიებს) ყველა ორგანიზაციებში ერთდროული რევიზიების ჩატარების შესახებ, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა გამოემჟღავნებინა და ლიკვიდაცია ექნა დიდი ხნიდან მოკიდებულ ჩვენი ორგანიზაციების მტკივნეული საკითხებისათვის (არა რეალურ დავალიანებისათვის) დღემდის არ არის შესრულებული ძირითადი ორგანიზაციების მიერ. როგორც განსაკუთრებული და გადაუდებელი ამოცანა იდგა ცეკას წინაშე საკითხი, თავის დროზე და ყოველთვიურად ფინანგარიშგებების მიღების შესახებ, რათა ცეკას საფინგანს საშუალება მიცემოდა წარედგინა ცეკას პრეზიდიუმისათვის ყოფელთვიური ანგარიშგება ძირითად ორგანიზაციების მიერ ფინანსიური საქმიანობის შესრულების შესახებ (შემოსავალ-გასავლის ანალიზი და სხვ). მიუხედავათ ყოველივე ამისა რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტს დღემდის არა აქვს 1929 წლის ანგარიშგება ძირითად ორგანიზაციებიდან (აფხაზეთის სამხრეთ-ოსეთის, გორის საოლქო კომიტეტებიდან და სხვ.).

საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ უკვე გავიდა 1929 წლის სრული სამი თვე და აღნიშნული ანგარიშგებანი ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი, რაც ყოვლად დაუშვებელათ მიაჩნია რემედასის საქ. ცეკას.

ყველა ზემოაღნიშნული მომენტების გარდა, როგორც განსაკუთრებული და დიდ-მნიშვნელ ოვანი ნაკლი ნთელს ჩვენს მუშაობაში (არა მარტო ფინანსიური) აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას. რომ ხშირად ჩვენი დირექტივები, ვერ აღწევენ ძირითად უჯრედებამდე, ან თუ აღწევენ ისე დაგვიანებით, რომ თვით ამ დირექტივების დედააზრი მისი შინაარსი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ამ საკითხის მოგვარებას კი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში მუშაობას სათანადო დონეზე დასაყენებლად.

გარდა ამისა, ჩვენს კომიტეტებში ადგილი აქვს სახსრების უთავბოლო დაბანდებას, რაც ნათლად დააადასტურა ზოგიერთ ორგანიზაციების ნაწილობრივ გამოკვლევამ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ: გორის, ოზურგეთის, ახალციხის სამაზრო კომიტეტები, ხაშურის, ბორჯომის, ჭიათურის და შორაპანის რაიკომები და სხვ.

რით უნდა ისხნას ყველა ეს ნაკლოვანებანი და სად არის ამ მოვლენების ძირითადი მიზეზები?

ჩვენის აზრით, ძირითადი მიზეზები მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსიური ხაზით, რომელიც დაკავშირებულია სპეციალურ და ცენტრალურ პროცესებთან (ანგარიშიანობა და ანგარიშგება) ჩვენი საოლქო, სამაზრო და რაიონული კომიტეტები ვერ ერკვევიან საქმის ვითარებაში. სამაზრო და რაიონულ კომიტეტების მდივნები, რომელთაც არა აქვთ შესწავლილი ანგარიშ-წარმოებ . ან დატვირთულნი არიან (არა მარტო ფინანსიური) რემედასის მუშაობით.

იმ კომიტეტებში, სადაც შეთავსებით მუშაობენ მოანგარიშეები, ფინანსიურ მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა. საოლქო და სამაზრო კომიტეტებში თავისუფალი მოანგარიშის აყვანა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ოზურგეთში, ან დღეს ადგილი აქვს გორში) აუტანელი ხდება რემედასისათვის. კომიტეტების მდივნების დატვირთვა ფინანსიურ-ტეხნიკურ და არა ხელმძღვანელობითი ზედამხედველობითი მუშაობით ისეთი ამოცანების დროს, რომლებსაც რემედასის ორგანიზაციებს უყენებს დღევანდელი ცხოვრების პირობები დანაშაულს უდრის.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად სჩანს, რომ საჭიროა გადახალისებული იქნეს ჩვენი ფინანსიური მუშაობის მთელი სისტემა ყოველგვარი შემოსავლისა და ანგარიშიანობის საქმეების რემედასის საქ. ცეკაში თავმოყრით. ამავე დროს, აუცილებლად საჭიროა ჩვენ შეექმნათ ისეთი პირობები, რომ რემედასის საოლქო და სამაზრო კომიტეტებმა ხელი შეუწყონ და მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსიურ მუშაობას გაცილებით უფრო მეტად ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დღემდის. მაგრამ არაეთარ შემთხვევაში არ უნდა დაიტვირთონ ისინი ანგარიშიანობის წმინდა და ტეხნიკური ხასიათის მუშაობით.

როგორი უნდა ახალი სისტემა?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედები თანხებს აგზავნიან უშუალოდ (საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებთან დამოუკიდებლად) რემედასის საქ ცენტრალურ კომიტეტში. ასეთი სისტემის დროს თანხების გადაგზავნა უჯრედიდან ცეკაში იწარმოებს უფრო ჩქარი ტემპით და ადგილი არ ექნება რემედასის თანხების გაფლანგვებსა და დაბანდებებს საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დღემდის.

მეორეს მხრივ, მთელი ანგარიშიანობა თავმოყრილი იქნება რემედასის ცეკაში, რომელსაც საშუალება ექნება გაითვალისწინოს მთელი ფინანსიური შესაძლებლობანი რესპუბლიკანურ მასშტაბით.

ცეკას საანგარიშო აპარატი ყოველდღიურად მიიღებს გადასაგზავნ ფულ-ბარათის ტალონებს ფოსტის უწყებიდან და აზვიის სახელმწიფო ბანკიდან, რომლის მიხედვით (გადაგზავნ ფულ-ბარათების ტალონების) შეტანს საოლქო, ან სამაზრო კომიტეტის უწყებაში (ნუსხაში). ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტს ექნება უწყება. ან პირადი ბარათი, რომელიც შეივსება გადასაღები ქაღალდის ქვეშ ორცალად ყოველ ცალკე რაიონზე. აღნიშნულ ტალონების უწყებაში შეტანის შემდეგ, ეს უკანასკნელი კვირაში ერთხელ იგზავნება რაიკომის მისამართით (საფოსტო ბარათების ნაცვლად, რომლებიც გაუქმებული უნდა იქნეს) ცნობისათვის, რათა რაიკომებმა გაიგონ, თუ რომელ უჯედებიდან მოდის შემოსავალი. უწყების ასლი ეგზავნება სა-

ოლქო და სამაზრო კომიტეტებს თვეში ორჯერ ცნობისათვის, თუ როგორ ასრულებენ შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვაში გათვალისწინებულ მუხლებს ესა თუ ის რაიონები.

ამასთან დაკავშირებით რემედასის საქ. ცეკადან მიღებული უწყების ასლის თანახმად საოლქო და სამაზრო კომიტეტებს საშვალება ეძლევათ უხელმძღვანელონ და მეთვალყურეობა გაუწიონ თავიანთ რაიონებში ფინანსიურ მუშაობას, ანგარიშ-წარმოების დაყენების გარეშე.

საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებს, საქმის ასე დაყენების შემდეგ საშვალება მიეცემათ უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ იდეურ-ორგანიზაციულ და აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობას, ვინაიდან შექმნილი მდგომარეობის მიხედვით ისინი გახდებიან ინსტრუქტორ ორგანიზატორები.

რაიკომებს თავის მხრივ რემედასის საქ. ცეკადან მიღებული საფულე ბარათებიდან მონაჭერ ტალონების თანახმად - შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ უჯრედების მუშაობას იმავე წესით, რა წესითაც იწარმოებს საოლქო და სამაზრო კომიტეტების მხრივ კონტროლის გაწევა რაიონულ კომიტეტებზე.

აქედან ანგარიშიანობის სწორად დაყენებისათვის საჭიროა ყველა **უჯრედები გატარდეს რემედასის საქ ცენტრალურ კომიტეტის რეგისტრაციაში, იქონიონ ერთიანი ნომერი,** რათა ამ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ქვედა უჯრედების მიერ საფულე ბარათების მეორე გვერდზე, რომელიც იგზავნება რემედასის საქ. ცეკაში—დასმული იქნეს უჯრედის ნომერი ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ფულის ჩაბარების დროს, (აღნიშნულ ნომერს ფულის ბარათებზე სვამს რემედასის საქ. ცეკა) ეს გამოწვეულია იმ მიზნით, რომ ადგილი არ ექნეს გაუგებრობას, თუ ვინიცობაა უჯრედს დაავიწყდა თავის ნომრის დასმა, ან მისი წარმოება დაწესებულების დასახელება. ასეთი რეგისტრაციის ჩატარება ხელს შეუწყობს მომავალი სხვა საკითხების, როგორც მაგალითათ ცეკას დირექტივების გადაცემას უშუალოთ უჯრედებზე, ან პირიქით, ამ უკანასკნელებიდან სტატანგარიშების მიღებას და სხვ.

ასეთი რეორგანიზაციის შედეგათ, ნაცვლათ დაფანტულ და სუსტად დაყენებულ საანგარიშო აპარატისა, ჩვენ მივიღებთ ერთიან, მტკიცე დასაყრდენ პუნქტს, რომელშიაც გაერთიანებული იქნება მთელი ჩვენი ფინანსიური მოღვაწეობა და ანგარიშიანობა.

მოანგარიშეები და ტეხნიკური შემადგენლობა საოლქო სამაზრო და რაონულ კომიტეტებთან გაუქმებული უნდა იქნეს, რაც რასაკვირველია მოგვცემს თვალსაჩინო ეკონომიას და თანხების სწრაფ დენას ცენტრისაკენ, რითაც საბოლოოთ თავს დავახწევთ რემედასის თანხების დაბანდებას სხვა ორგანზაციებში. საოლქო, სამაზრო და რაიონული კომიტნტები განთავისუფლდებიან ანგარიშ-წარმოების მოვალეობისაგან, ვინაიდან საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნები იქნებიან მხოლო ანგარიშ ვალდებული პირნი რემედასის საქ. ცეკას წინაშე და მიეცემათ განსასლრული თანხა ავანსის სახით ხარჯთ-აღრიცხვაში გათვალისწინებულ მუხლების მიხედვით. თანხის მიღების დროს ისინი ვალდებულნი იქნებიან ჩააბარონ ანგარიში რემედასის ცენტრალურ კომიტეტს.

საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის გარემოება, რომ დღეს ორგანიზაციების წინაშე ისახება მუშაობის ფართედ გაშლის უდიდესი პერსპექტივები, უმთავესად გლეხური, ახალი უჯრედების აღმოცანებით.

ფინანსიური მუშაობა საოლქო და სამაზრო კომიტეტებში გაიზრდება ჩვენი ორგანიზაციების ზრდასთან დაკავშირებით, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს საოლქო და სამაზრო კომიტეტებში მოანგარიშე ძალების გადიდებას. რომ ეს არ მოხდეს ამისათვის დაკვრითი წესით უნდა გავატაროთ მთლიანი ინკასაციის სისტემა.

რემედასის საქ. ცეკა წინადადებას გაძლევთ წინამდებარე ცირკულიარი განიხილოთ უჯრედების მდივნებისა და აქტივის თანადასრებით, შეისწავლოთ ის და ჩაატაროთ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ფინანსიურ მუშაობის ახალ ლიანდაგებზე გადასასვლელათ.

ამასთან ერთად გეგზავნებათ თქვენი რაიონის უჯრედების რეგისტრაციისათვის შესავსები ანკეტა. გევალებათ დაუყონებლივ შეავსოთ სწორი ცნობებით და გადმოგზავნოთ რემედასის საქ. ცეკაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის აპრილის 30-სა.

დეტალურად დამუშავებულ ინსტრუქციას, თანხების ფოსტის საშუალებით ინკასაციაზე მთლიანათ გადასვლის, საწევრო წიგნაკებისა და მარკების მომარაგების, საფოსტო განყოფილების საშუალებით უჯრედების მიერ ფულის გადაგზავნის წესების შესახებ მიიღებთ დაუყონებლივ ამასთანავე თანდართულ ანკეტების, თქვენს მიერ შევსებით, ცეკაში გადმოგზავნის შემდეგ.

აღნიშნული ანკეტები გარკვევით შევსებული და დადასტურებული უნდა იქნეს კომიტეტის თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის მიერ.

რემედასის საქ. ცეკას

თავმჯდომარე: ნასარიძე

საფინანსის გამგე: დ. აბზიანიძე

რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს

თანახმად რემედასის ს.ს.რ.ც.კ. მეოთხე პლენუმის დადგენილებისა მიმდინარე წლის აპრილის 1-დან საკავშირო მასშტაბით რემედასის წევრთათვის დაწესებულია საწევრო ანარიცხის განაკვეთი შემდეგი რაოდენობით:

ა) საფაბრიკო-საქარხნ., საბჭოთა, უმაღლეს სასწავ., წით. არმ. უფშემდგენლობა და ხელოსანთა რემედასის უჯრედის წევრები წლიურად იხდიან საწევროს — 1 — მან. და 20 კაპ.

ბ) სოფლად არსებულ რემედასის წევრები წლიურად იხდიან 60 კაპ.

გ) წითელ - არმიელები, სკოლის პირველი და მეორე საფეხურის მოწაფეები, გლეხური ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლენი, უმუშევრები და დიასახლისები წლიურად იხდიან — 24 კაპ.

დ) ყველა უჯრედის წევრთათვის

შესასვლელათ დაწესებულია 5 კაპ.

ამიტომ გევალებათ, დაუყონებლივ შეუდგეთ სათანადო მუშაობის დაწყებას აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

ამასთანავე ერთად გაცნობებთ, რომ დღემდის რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოცემულ საწევრო წიგნაკში აღნიშნული საწევრო ანარიცხების აკრეფის რაოდენობა (წიგნაკის ყდის მესამე გვერდზე) **უარყოფილია** და უნდა შეიცვალოს წინამდებარე ცირკულიარში აღნიშნული ბარათების განაკვეთების მიხედვით.

ეს შეცდომა რემედასის საქართველოს ცეკას მიერ გამოსწორებული იქნება საწევრო წიგნაკების შემდეგი ტირაჟის გმაოცემის დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო გევალებათ საწევრო ანარიცხების აკრეფის დროს იხელმძღვანელოთ რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის მეოთხე პლენუმის დადგენილებით.

რემედასის საქ. ც. კ. თავმჯდომარის მოადგილე: დ. ნასარიძე.

საფინანსის გამგე: ვ. აბზიანიძე.

რემედასის ახალგაზრდა მეგობართა—„რამ"-ის წრეების მუშაობა

1. რამის მუშაობის შინაარსი და ამოცანები.

რემედასის ახალგაზრდა მეგობართა წრეების მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: საბჭოთა კავშირის ბავშვებისათვის, დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ და აღმოსავლეთის კოლონიაალურ, თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ ახსნა - განმარტების მიცემა. კაპიტალის პატიმრებისათვის მატერიალურ დახმარების შეგროვებაში მათი აქტიურად ჩაბმა; მათი დაინტერესება ინტერნაციონალურად აზრდის საკითხებით; ახალგაზრდობის დარაზმვა ყოველგვარი ეროვნული შუღლის წინააღმდეგ და საზღვარგარეთელ მუშათა კლასის ბავშების ცხოვრებისა და ბრძოლის ფართე პროპაგანდა.

2. ახალგაზრდა რემედასელთა წრის პროგრამაში შედის:

ა) საუბრების ჩატარება ინტერნაციონალურ თემებზე.

ბ) რემედასის ლიტერატურის კოლექტიურად კითხვის მოწყობა.

გ) ინტერნაციონალურ დილებისა და საღამოების მოწყობა.

დ) რევოლიუციონურ დღესასწაულებში მონაწილეობა.

ე) ინტერნაციონალურ კუთხეების მოწყობა.

ვ) რემედასის მახლობელ უჯრედის მუშაობისათვის ხელის შეწყობა და მისი დავალებებითი სამუშაოს შესრულება.

ზ) მოწაფეებისა და პიონერების ჩაბმა რემედასის მიერ წამოყენებულ ყველა კამპანიებში, დემონსტრაციებსა და მიტინგებში.

ჰ) რემედასის საზღვარგარეთის ბავშთა სახლებში მოთავსებულ ბავშებისა და იმ ციხეებში მოქცეულ პოლიტ - პატიმრებთან მიწერ - მოწერის წარმოება, **რომელზედაც აღებული აქვს შეფობა მახლობელ რემედასის ორგანიზაციას.**

თ) კაპიტალისტურ ქვეყნების პატიმართა დასახმარებლათ მატერიალურ ლონისძიებათა შეგროვება.

ი) რემედასის ლიტერატურისა და ჟურნალის გავრცელება.

კ) რემედასის მნიშვნიოობის ახსნა - განმარტება მშობლებისადმი და საბინაო ამხანაგობებთან რემედასის უჯრედების დაარსებაში ხელის შეწყობა.

ლ) მშრომელთა ბავშებში რემედასის მნიშვნელობა - ამოცანების ახსნა - განმარტება და მათი ჩაბმა რამის რიგებში.

3. ორგანიზაციული შენება.

1. რამის წრეები არსდება პიონერთა კოლექტივებსა და სკოლებთან.

2. წრეებში მიიღებიან ბავშები 3-დან 14—წლამდე.

3. რამის ყოველ წევრს ეძლევა პირადი ბარათი, რომელშიაც იწერება მარკა ყოველთვიურად რემედასის კაპეიკის შეტანის დასადასტურებლათ.

შენიშვნა: სოფლად და ცალკე რაიონებში კომ. ორგანიზაციის, რემედასის რაიკომის შეხედულებისამებრ, ხოლო ცალკე ბაკშებზე პიონერ - ჯგუფებს, ფორმპოსტის პრეზიდიუმებს რამის წრის ბიუროსთან შეთანხმებით შეუძლია სრულიად გააუქმოს რემედასის კაპეიკის აღება.

4. რამის მუშათა წრეს ხელმძღვანელობას უწევენ პიონერთა ჯგუფები და ფორპოსტის პრეზიდიუმები. რამის საერთო ხელმძღვანელობა ევალება ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციის რაიონულ ბიუროს რემედასის რაიკომებთან ერთად.

5. **რამის ბიურო (3 დან 5 წევრის შემადგენლობით) აწესრიგებს და ანხორციელებს წრის ყოველდღიურ მუშაობას. გადარჩევები ხდება წელიწადში ორჯერ.**

7. წრის ბიურო ასრულებს შემდეგ სამუშაოს.

ა) ამუშავებს მუშაობის გეგმას.

ბ) აწესრიგებს მუშაობას ბიუროს წევრთა შორის.

გ) რეგულიარულათ აწყობს წრის სხდომებს.

დ) ხემძღვანელობს წრის ყოველდღიურ მოღვაწეობას, როგორც: საგიტაციო, პროპაგანდისტული, მასიური, საღსრების შეგროვებასა და სხვ.

ე) კავშირს იჭერს წრის საბჭოსთან, რემედასის უჯრედთან, ლ.ა.კ.კ., ახალგაზრდათა რაიონულ ბიუროსა და რემედასის რაიკომთან.

ვ) აწარმოებს მუშაობის აღრიცხვას.

რემედასის საქართველოს ცეკა.

ველირსეთ მუშაობის გაცხოველებას

(წერილი დუშეთიდან)

ქ. დუშეთში თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურე ითვლება რემედასის ორგანიზაციის წევრად, მაგრამ უჯრედის მუშაობა დღემდე სრულებით არ სწარმოებდა.

მაზრის რეორგანიზაციის შემდეგ უჯრედმა სავსებით შესწყვიტა მუშაობა, თუმცა თფილისიდან იყო, ამ რამტენიმე თვის წინად წარმომადგენელი, რომელმაც გამოჰყო უჯედის ჩამომყალიბებელი საინციატივო კომისია, მაგრამ არც ამ კომისიას გაუკეთებია რამე.

ამიტომ ადგ. პარტიულმა ორგანიზაციამ საჭიროდ დაინახა გამოეცოცხლებია ეს უჯრედი და 13 თებერვალს მოწვეული იქნა დუშეთის პარტ. და უპარტიო აქტივის გაერთიანებული კრება, სადაც მოხსენებით გამოვიდა რაიპარტკომის აგიტპროპი ამხ. **დ. კუჭავაძე**, რომელმაც კრებას მოკლეთ გააცნო რემედასის ორგანიზაციის მნიშვნელობა.

კრება სიხარულით მიეგება ამხ. დ. კუჭავაძის აზრს და დაადგინა გამოყოფილ იქნეს უჯრედის ჩამომყალიბებელი საინიციატივო კომისია, რომელსაც დაევალა ერთი კვირის განმავლობაში მოაწესრიგოს უჯრედის ჩამოყალიბების ორგანიზაციული მხარე და გააცნოს დუშეთის მუშამოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებას.

ამასთანავე ერთად პარტაქტივისა და უპარტიო აქტივის კრებამ დაევალა გაევრცელებია ჟურნალი „რემედასი“. იმ კრებაზე ხელის მომწერის მოწესრიგება დაევალა ამხ. ელიზბარ ჯოხთაბერიძეს. კრების ყველა წევრმა მოაწერა ხელი ჟურნალ „რემედასზე“.

აგრეთვე ამავე კრების წევრებმა შეისყიდეს რემედასის მიერ გამოცემული სხვადასხვა სახის ლიტერატურა.

იმედია ახლად გამოყოფილი საინიციატივო კომისია პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას და დუშეთის რაიონის ჩამორჩენილ კუთხეებშიაც შეაშუქებს რემედასის ორგანიზაციის სხივები.

შ. ლორთქიფანიძე.

დაარსდა რემედასის უჯრედი

(სამტრედია)

სამტრედიის, 1905 წ. რევოლიუციის სახელობის შვიდწლედთან მიმდინარე წლის თებერვალში ჩამოყალიბდა რემედასის უჯრედი, რომელიც აერთიანებს 100 წევრს.

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე რემედასის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა რემედასის სამტრედიის რაიკომის მდივანმა ამხ. **გაბუნიამ**, რომელმაც განმარტა რემედასის ორგანიზაციის უდიდესი ამოცანები დღევანდელ პირობებში.

სამტრედიის შვიდწლიან შრომის სკოლის მოწაფეები აღფრთოვანებით ეგებებიან რემედასის უჯრედის ჩამოყალიბებას და ფიცს სდებენ, პირნათლად ემსახურონ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წმინდა იდეებს.

ჩვენ, მოწაფეობა მზათა ვართ ყოველმხრივათ ხელი შევუწყოთ, როგორც რემედასის იდეების პოპულიარიზაციას, ისე შრომელი მასის ინტერნაციონალ-ერთსულოვანებით აღზრდას.

აღნიშნული უჯრედი უკვე შეუდგა მუშაობას წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმით.

ვრცელდება რემედასის ლიტერატურა საკმაო რაოდენობით. იმედია ხელმძღვანელი ამხანაგების ენერგიული მუშაობის წყალობით უჯრედის მუშაობა სათანადო დონეზე დადგება და ის ცხოვრებაში გაატარებს მიმდინარე ამოცანებს.

გ. ნაშანი.

დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს

კაპიტალის პატიმართა დასახმარებლათ ს. სოხუმის რემედასის საოლქო კომიტეტის სალაროში შემომაქვს სამი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. შ. ბკურაძეს, 2. ალ. კიკვაძეს, 3. ბ. პატარიას, 4. კონონი ფარცვანიას, 5. გრ. კიკვაძეს, 6. პლ. ნარსიას, 7. ვლ. შენგელიას, 8. ბ. ჩხიკვაძეს, 9. აკაკი ჭიჭინავას, 10. შ. ვასაძეს, 11. თ. ჩხეიძეს, 12. ლ. ლეჯავას, 13. ქარცივაძეს, 14. დიმ. ჯახუას, 15. ვალ. ნაჭყეპიას, 16. ნ. ნადარეიშვილს, 17. ვეკუას, 18. ქეთო ფარცხალაძეს, 19. ა. ქეცბას და 20. ნ. რუხაძეს.

ვლადიმერ კვიტატიანი

თამარა ჯაჯანიძის გამოწვევით შემომაქვს რემედასის ქალ. ჭიათურის რაიკომში სამი მანეთი და ვიწვევ შემამხანაგებს:

რკინის გზიდან—1. ვერა ქვანიას, 2. თამარა ბელაძეს, 3. ანიკო ქავთარაძეს, 4. ვერიჩქა ჯაშს, 5. სადგ. უფრ. ნ. ლაიშვილს, 6. კოწია გულორდავას 7. კოლია კიკნაძეს, 8. გრიშა ფირცხბლეიშვილს, 9. შოშია ქადაგიძეს, 10. ილიკო ცქიტიშვილს, 11. იოსებ ღონღაძეს, 12. პოლიკარპე ჩხეიძეს, 13. რუთინა ღონღაძეს, 14. დათიკო ცისკარიძეს, 15. კირილე ცისკარიძეს, 16. შუშანიკა ჭავჭანიძეს, 17. აკაკი ჭავჭანიძეს, 18. დომნა ჭავჭანიძეს, 19. ქუცნა და დუნიაშა ლეჟავებს, 20. კვაკვალა მელაძისას, 21. ვარლამ ფუტკარიძეს, 22. დომენტი მდივნიშვილს, 23. ბაგრატ სახელაშვილს, 24. რაჟდენ აბესაძეს, 25. სავლე ლეჟავას, 26. ლადო ტატიშვილს, 27. ლუბა ლომაძეს, 28. ვასილ არჩვაიას, 29. ჭიჭიკო რუხაძეს, 30. გრიშა შატბერაშვილს, 31. კოსტა მიქაძეს, 32. დიმიტრი მიქელაძეს, 33. აქვსენტი გაფრინდაშვილს, 34. გრიგოლ ფოფხაძეს, 35. ალექსანრე ფხალაძეს, 36. შალიკო ტაბატაძეს, 37. კოლია ჩხეიძეს, 38. ვარლამ შავგულიძეს, 39. კოწია ვაშაძეს და 40. ნინა მაჭარაშვილს.

თ. ენუქიძე

ბიბლიოგრაფია

ა. ვოლსკი. „თეთრი ტერორი“. თარგმანი მიხ. ცქვიტინიძისი. გამოცემა—„რემედას-“ის. გვერდი—30. ტირაჟი—3000. ფასი—15. კაპ.

რემედასის ლიტერატურის გამოცემის სათანადო დონეზე დაყენება სადღეისო საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მშრომელი, მასების ინტერნაციონალურად აღზრდა შეუძლებელია, თუ ხელთ არ გვექნება სათანადო ლიტერატურა.

რემედასის რიგებში გაერთიანებულ მშრომელ მასებში ინტერნაციონალურ ერთსულოვნების გრძნობის განსამტკიცებლათ საჭიროა ისეთი ხასიათის ლიტერატურის გამოცემა, რომელიც ნათელს მოჰფენს თეთრი ტერორისა და კლასობრივი იუსტიციის ალვირახსნილობას საერთოდ.

ჩვენ ძალიან ბევრს ვწერთ დღევანდელ ფაშისტურ ქვეყნების მდგომარეობის შესახებ, მაგრამ რემედასის გამომცემლობის მიერ არც საქართველოში და არც საბჭოთა რუსეთში არ არის გაშუაქბული თეთრი ტერორის საქმიანობა ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიდან.

ეს წიგნი სწორეთ იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ის ეხება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მომქმედ თეთრი ტერორის მოძრაობას 1917-1920 წ. წ.

სასურველია და აუცილებელი ასეთი ხასიათის წიგნაკების გამოცემა და გავრცელება რემედასის წევრთა შორის. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ ჩვენს ძირითად ორგანიზაციებში გაერთიანებულ მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდას.

აქვე არ შეიძლება არ აღნიშნოს, ის გარემოება, რომ ზოგიერთ გადმოთარგმნილ წიგნაკების წაკითხვა შეუძლებელია, ასეთი იყო მაგალითად წიგნაკი „რა არის რემედას“-ის პირველი გამოცემა, რაც შეეხება მეორე გამოცემას ის თვალსაჩინო შესწორებით გამოიცა და მთლიანი შთაბეჭდილებაც რჩება მკითხველს.

ასეთი დეფექტებისაგან თავისუფალი სარეცენზიო წიგნი. ეს უნდა მიეწეროს მთარგმნელის პასუხისმგებლობის შეგნებას თარგმნის საქმისადმი.

კარგი იქნება გამომცემლობა მომავალშიაც იზრუნებდეს ასეთი წიგნების მეტი რაოდენობით გამოცემაზე. ეს უდიდეს სარგებლობას მოუტანს ძირითად ორგანიზაციებში გაერთიანებულ წევრთა ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეს.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.—„ფოლადთა შორის“. მოთხრობა. რემედასის საქ. ცეკას გამომცემლობა. ტფილისი—1930 წ. ტირაჟი—3000. ფასი—20 კაპ.

რემედასის მხატვრულ ლიტერატურის გამოცემას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. რემედასის გამომცემლობის მიერ საქართველოში ამ მხრივ ძალიან ცოტაა გაკეთებული. ეს ნაკლი დროზე უნდა იქნეს გამოსწორებული.

როგორც ვიცით რემედასის ირგვლივ უკვე ჩამოყალიბებულია მკითხველთა კადრები და წმინდა პოლიტიკური ხასიათის მასალებთან ერთად მათ უნდა მივაწოდოთ მხატვრული ლიტერატურაც. ამას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში.

ამხ. ელიზბარ პოლუმორდვინოვის წიგნი „ფოლადთა შორის“ ამ ნაკლს ნაწილობრივათ ასწორებს, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. საჭიროა ამ მხრივ უფრო გადამჭრელი ზომების მიღება. კარგი იქნება რემედასის საქ. ცეკა გააღრმავებდეს მუშაობას და ქართულ ენაზე გამოსცემდეს სხვა წიგნებსაც.

აღნიშული წიგნი მეტად ლამაზი ენითაა დაწერილი და მისი გავრცელება მასში სასურველი და აუცილებელია

ალ. მ—ლი

გამოც. რემედასის საქ. ცენ. კომიტეტი. რედაქტორი: შ ა მ შ ე ლ ე ქ ა ვ ა.

სტ. ა. ფ. მიასნიკოვის სახ. გამც-ბა „ზ. ვ.“ შეკვ. № 1007 მთავლ. № 824 ტირაჟი 10000

1 9 3 0

რემედას

—გამოდა თვეში ერთჯერ—
(წელიწადში თორმეტი ნომერი)

ყოველ ნომერში თავსდება წერილები და მიმოხილვები: კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში მებრძოლ მუშათა ვლასისა და რევოლიუციონური გლეხკაცობის ბრძოლებისა და ცხოვრების შესახებ.

მოგონებები რევოლიუციონური მოძრაობის მონაწილეთა

რემედასის ორგანიზაციებისა და უჯრედების მუშაობის შესახებ ცნობები და სხვა.

ფართე ადგილი ეთმობა ლიტერატურასა და მხატვრობას.

ყოველ ცალკე ნომერში 20 ხურათი თავსდება.

ხელის მოწერის პირობები

ერთი წლით	— 2	მან. 20	კაპ.
ცხრა თვით	— 1	„ 70	„
ექვსი თვით	— 1	„ 15	„
სამი თვით	—	„ 60	„
ერთი თვით	—	„ 20	„

ცალკე ნომერი—20 კაპ.

გამომცემლობისაგან

ის პირნი, რომლებიც ჟურნალს დროზე ვერ მიიღებენ, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვალდებულნი არიან ამის შესახებ აცნობონ რედაქციას. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ სასწრაფო ზომები იქნება მიღებული რემედასის საქართველოს ცეკას გამომცემლობის მიმართ.